

ხორვათის ანტიკრუფციული პროგრამა
სახელმწიფო წილობრივი მონაცილეობით
დაარსებული საწარმოებისათვის

მარეჯარული რეიტისა და დირექტორაჲის
დაცვისა სახელმწიფო წილობრივი
მონაცილეობით დაარსებულ
საწარმოები (ევენების მიმოსილვა)



**ხორვატიის ანტიკორუფციული
კომიტეტის სახელმწიფოს ნილობრივი
მონაცილეობით დაარსებული
საწარმოებისათვის**

**მანეჯერული რგოლისა და
დირექტორების დანიშვნა სახელმწიფოს
ნილობრივი მონაცილეობით დაარსებულ
საწარმოები (ქვეყნის მიმღებისათვის)**

დავორ დუპრავიცა, ხორვატია

**თბილისი
2015**

კვლევა განხორციელდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ პროექტის - “ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე მმართველობის ხელშეწყობა საქართველოში” - ფარგლებში, “ღია საზოგადოების ფონდების” (OSF) ფინანსური მხარდაჭერით.

გამოცემაზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მისი შინაარსი არ გამოხატავს დონორის ოფიციალურ პოზიციას.



ავტორი: დავორ დუბრავიცა, ხორვატია

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

გამოცემაზე პასუხისმგებელი: თამარ გვარაშვა
სულხან სალაძე

აინტერ და დაკაბადონდა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.

ქ. კახიძის ქ. 15 თბილისი 0102 საქართველო

(+995 32) 295 23 53, 293 61 01

ვებ-გვერდი: www.gyla.ge

ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან
გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის
გარეშე

ს ა რჩე ვ ი

ხორვატია – ისტორიული მიმოხილვა	5
კომპანიების ტიპები და მმართველობითი ორგანოები	
ხორვატიაში	6
I. სახელმწიფო ძირითად ნილობრივ მფლობელობაში არსებულ კომპანიებთან დაკავშირებული ანტიკორუფციული პროგრამის მიღება	8
II. კორუფციის მიზანების აღმოფხვრის მიზნით, ანტიკორუფციული პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები	12
მიზანი 1 – სამუშაო პროცესში პასუხისმგებლობის, კეთილსინდისიერებისა და გამჭვირვალობის გაძლიერება	12
მიზანი 2 – ყველა დონეზე კორუფციის აღმოსაფხვრელად წინაპირობების შექმნა	15
მიზანი 3 – კორუფციის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის განმტკიცება	17
III. ანტიკორუფციული პროგრამის განხორციელების მონიტორინგი	18
1. შესაბამისი კომპეტენტური სამინისტროების განსაზღვრა და ანტიკორუფციული პროგრამის განხორციელების კოორდინატორის დანიშვნა სამინისტროებში	19
2. სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ კომპანიებში ანტიკორუფციული სისტემის მონიტორინგისა და განვითარების საკოორდინაციო საბჭოს შექმნა	20
3. სამოქმედო მეთოდოლოგია	21
4. კვლევა	22
5. გაერთიანებული ანგარიში	25
IV. ღონისძიებათა განხორციელება	27
1. კომპანიის წარმატება ღონისძიებების განხორციელებაში – კონკრეტული ანტიკორუფციული ღონისძიებების შერჩევა	28

1.1.	კომპანიის საქმიანობის გამჭვირვალობა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება	28
1.2.	კომპანიების მიერ განხორციელებული შემოწირულობები და სპონსორობა	30
1.3.	ეთიკისა და კეთილსინდისიერების გაძლიერება	31
1.4.	ხარვეზებთან გამკლავება	32
V.	საგანმანათლებლო და ცნობიერების აგანლებისაპარ მიმართული საქმიანობა	35
	2010-2012 წლების ანტიკორუფციული პროგრამის განხორციელების შემდგომი საქმიანობა	36
	დასკვნა	38

მართვის სამინისტრო მიმართული საქმიანობის დანერგვის სახელმწიფო ნიუსტატივი მონაცემებით დაარსებულ სანარჩოებში (ქვეყნის მიმოხილვა) ...	41
შესავალი	41
ხორვატია	42
პოლონეთი	44
სერბეთი	46
ჩილე	49
ისრაელი	50
ახალი ზელანდია	51
დასკვნა	55
წყაროები	56

ხორვატია – ისტორიული მიმოხილვა

1991 წელს, იუგოსლავიის სოციალისტურ-ფედერაციული რესპუბლიკიდან გამოყოფისა და სუვერენიტეტის გამოცხადების შემდეგ, ხორვატია დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ჩაერთო (1991-1995), რამაც ქვეყნის ეკონომიკასა და საზოგადოებას დიდი ზიანი მიაყენა. მას შემდეგ, რაც ხორვატიამ უარი განაცხადა 45 წლიან სოციალისტურ ეკონომიკაზე, საჭირო გახდა ღია ბაზარზე დაფუძნებული ახალი ეკონომიკური სიტემის ჩამოყალიბება. სახელმწიფო ქანების პრივატიზების პროცესს თან ახლდა პოლიტიზირება, კანონდარღვევები, ნეპოტიზმი და კორუფცია. ომით მიყენებულ ზარალს დაერთო გარდამავალი ეტაპის თანმდევი შეცდომები, რამაც გავლენა იქონია ქვეყნის ეკონომიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, იმატა შექრთამეობამ და სხვა ხარვეზებმა.

დადებითი ტენდენციები შეინიშნება 2000 წლიდან ხორვატიის ევროკავშირთან დაახლოების მცდელობის კვალდაკვალ. მას შემდეგ, რაც 2005 წელს ხორვატიამ ევროკავშირს განევრიანების თხოვნით მიმართა და მოლაპარაკების პროცესი დაიწყო, ქვეყანამ გაატარა მთელი რიგი რეფორმები ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის მისაღწევად. ევროკავშირთან დაახლოების გზაზე ხორვატიისთვის ერთ-ერთი ძირითადი დაბრკოლება კორუფცია იყო. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოების გასაძლიერებლად, გატარდა არაერთი ღონისძიება, მათ შორის, სამართლდამცავი ორგანოების განვითარებისთვის ისეთი სისტემების შესაქმნელად, რაც ხელს შეუწყობდა გამჭვირვალობისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, ინტერესთა კონფლიქტის აღკვეთას, პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გაკონტროლებას და სხვა. მოლაპარაკება ხორვატიის ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით 2011 წლის ივნისში დასრულდა და 2013 წლის 1 ივლისიდან ხორვატია ევროკავშირის 28-ე წევრი ქვეყანა გახდა. ევროკავშირში გაწევრიანების მერე ხორვატია კვლავ აგრძელებდა კორუფციის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების გატარებას.

ცხრილი 1. საქართველო და ხორვატია – ქვეყნების შედარება

	ხორვატია	საქართველო
დამოუკიდებლობის გამოცხადების თარიღი	1991	1991
ფართობი კმ ²	56,594	69,700
მოსახლეობა	4,267,600	4,490,700
GDP სულ მოსახლეზე 2012 US\$ (მსოფლიო ბანკი)	13,879	3,507
კორუფციის ინდექსი 2013	57 (ქულა 48)	55 (ქულა 49)
გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი 2013-2014 წლების მაჩვენებელი	75	72
ბიზნესის კეთების მაჩვენებელი 2013	89	8

**კომპანიების ტიპები და მმართველობითი ორგანოები
ხორვატიაში**

ხორვატიის კანონმდებლობის თანახმად, კომპანია წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომლის მოქმედება რეგულირდება კომპანიების შესახებ აქტის მიხედვით (the Act on Companies). კომპანია შეიძლება ჩამოყალიბდეს ეკონომიკური ან სხვა ტიპის საქმიანობის განხორციელების მიზნით.

ხორვატიაში სახელმწიფოს ძირითად წილობრივ მფლობელობა-ში არსებული კომპანიები, კომპანიების შესახებ აქტის თანახმად, სააქციო საზოგადოებისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (მპს) სახით არიან ჩამოყალიბებულნი.

სააქციო საზოგადოება წარმოადგენს საწარმოს, სადაც აქციონერები თავიანთი წილით იღებენ მონანილეობას საწესდებო კაპიტალში, რომელიც აქციებად არის დაყოფილი და ისინი პასუხსარ აგებენ კომპანიის მიერ წაკისრ ვალდებულებებზე.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემთხვევაში, ერთი ან რამდენიმე იურიდიული ან ფიზიკური პირი ახორციელებს თავისი ძირითადი წილის ინვესტირებას საწარმოს წინასწარ შეთანხმებულ საწესდებო კაპიტალში. კომპანიის წევ-

რები არ იღებენ პასუხისმგებლობას კომპანიის მიერ ნაკისრ ვალდებულებებზე.

სააქციო საზოგადოება და შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო არის კომპანიები, რომლებსაც გააჩნია საკუთარი მმართველობითი ორგანოები. ესენია:

- მენეჯმენტი, რომელიც ანარმოებს კომპანიის ბიზნესს და წარმოადგენს კომპანიას;
- სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც აკონტროლებს კომ-პანიის ბიზნესის მენეჯმენტს;
- საერთო კრება – სააქციო საზოგადოების აქციონერები და შპს-ს წევრები საერთო კრების მეშვეობით ახო-რციელებენ კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებულ თავიანთ უფლებებს და იღებენ გადაწყვეტილებებს.

I. სახელმწიფოს ძირითად ნიღბაშივი მფლობელობა- ში არსებულ კომპანიებთან დაკავშირებული ან- ტიკორსუფციული პროგრამის მიღება

ხორვატიის პარლამენტმა ანტიკორუფციული სტრატეგია 2008 წელს მიიღო და მიზნად დაისახა პასუხისმგებლობისა და გამჭ-
ვირვალობის გაზრდა, ყველა დონეზე კორუფციის აღმოფხვრი-
სათვის საჭირო წინაპირობების შექმნა და კორუფციის მიმართ
ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის გაძლიერება.

სტრატეგიის ძირითადი მიზანია სამართლებრივი და ინ-
სტიტუციური გაძლიერება, კორუფციის აღმოფხვრის ყველა
ფორმის განმტკიცება, საერთაშორისო თანამშრომლობის გან-
ვითარება და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობა.
ხორვატიაში ხელისუფლების ვალდებულებაა, მიიღოს ზომები
სისტემური კორუფციის აღმოსაფხვრელად, მათ შორის, აღკვე-
თოს ყველა უმოქმედობა, რაც კორუფციისთვის წოყიერ ნიადაგს
შექმნის.

ეს აგრეთვე ეხება სისტემებს, რომლებიც მნიშვნელოვანი სახ-
ელმწიფო რესურსებისა და აქტივების მართვაზე არიან პასუხ-
ისმგებელნი, მათ შორის, რომლებიც დიდ თანხებთან დაკა-
ვშირებულ სახელმწიფო შესყიდვებს ანარმონებენ და სადაც
თანამშრომელთა დიდი რაოდენობაა დასაქმებული. ასეთ სის-
ტემებში მმართველობით სტრუქტურებს კორუფციის წინააღმ-
დეგ ბრძოლაში განსაკუთრებული როლი და პასუხისმგებლობა
ეკისრებათ.

ანტიკორუფციული პროგრამის მიღების კონკრეტული მიზეზები:

- სახელმწიფოს წილობრივ მფლობელობაში არსებული
კომპანიები ეკონომიკის მუდმივ ელემენტს წარმოად-
გენს, განსაკუთრებით იმ სფეროებში, რომლებიც, ზოგა-
დად, საზოგადიოებრივი ინტერესის გამო, სტრატეგიულად
არის მიჩნეული, კერძოდ: წყალი, ტყე, ენერგორესურსები,
რკინიგზა, მაგისტრალები, ფინანსები, გემთმშენებლობა,
მეცნიერება, თავდაცვა, პორტები, აეროპორტები და სხვა;
- ხორვატიაში სახელმწიფოს წილობრივ მფლობელობაში არ-
სებულ კომპანიებს დიდი აქტივები და შემოსავლები გააჩ-
ნიათ:

მთლიანი შემოსავლები: 7.033.080.724 € / აქტივები:
37.300.025.428 € (2011)

- კომპანიებში დასაქმებულ თანამშრომელთა დიდი რაოდენობა – 85234 (2012);
- ცუდი ეკონომიკური მაჩვენებელი – გამოწვეული ცუდი მენეჯმენტითა და აქტივების არაეკონომიკური ხარჯვით;
- კომპანიებში აქტივების უფრო მეტი პასუხისმგებლობითა და გამჭვირვალედ მართვის საჭიროება;
- ნინა წლებში გამოვლენილი კორუფციული სკანდალების მაღალი მაჩვენებელი.

სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო, ხორვატიის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, მოეხდინა ანტიკორუფციული ღონისძიებებისა და მიზნების რეალიზება სტრატეგიულ პრინციპებზე დაყრდნობით სახელმწიფოს ძირითადი წილობრივი მონაბილეობით ჩამოყალიბებულ კომპანიებში, 2010-2012 წლების ანტიკორუფციული პროგრამის (ACP) მეშვეობით. ანტიკორუფციული პროგრამა, ანტიკორუფციულ სტრატეგიასთან ერთად, სამოქმედო გეგმის განუყოფელი წარმატების და 2010 წლის 18 მარტს მიღებულ იქნა, როგორც ღონისძიება №37.

როგორც ანტიკორუფციულ სტრატეგიაშია აღნიშნული, კომპანიებში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ძირითადი ელემენტები მოიცავს:

- სამართლებრივი პროცედურების, პრინციპებისა და შეზღუდვების დაცვის ვალდებულებას, რაც გულისხმობს ხორვატიაში მოქმედი კანონმდებლობის დაცვასა და განხორციელებას (კანონის უზენაესობის პრინციპი);
- კორუფციასთან ეფექტური ბრძოლის მიზნით, სამოქმედო პოლიტიკისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისობაში მოყვანის უზრუნველყოფას (საუკეთესო პრაქტიკის პრინციპი);
- აღმასრულებელი ხელისაფლების დონეზე სრული პასუხისმგებლობის აღებას, რათა შეიქმნას სამოქმედო პოლიტიკა და მოხდეს მისი ეფექტური განხორციელება (პასუხისმგებლობის პრინციპი);
- კორუფციის მიზეზების მეთოდურად აღმოსაფხვრელად ღონისძიებების დასახვასა და განხორციელებას, მათ შორის, იმ წარმატებების აღმოფხვრას, რაც კორუფციას უწყობს ხელს (პრევენციის პრინციპი);
- კორუფციის აღმოსაფხვრელი ღონისძიებების შექმნისა

- და განხორციელების პროცესში მუდმივ პროგრესს (ეფექტურობის პრინციპი);
- ანტიკორუფციული პოლიტიკის განხორციელებისას ერთობლივი ქმედების ვალდებულებას (თანამშრომლობის პრინციპი);
 - გადაწყვეტილების მიღების პროცესში გამჭვირვალობის უზრუნველყოფას და, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის აქტის თანახმად, ინფორმაციის ხელმისაწვდომობას (გამჭვირვალობის პრინციპი);
 - სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის გაუმჯობესების ვალდებულებას (სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის პრინციპი);
 - საქმიანობის განხორციელების თანმიმდევრულ და რეგულარულ მონიტორინგს, კორუფციის რისკების შეფასებასა და სათანადო ღონისძიებების გატარებას (თვითშეფასების პრინციპი).

ანტიკორუფციული პროგრამა შესაბამის ორგანოებს ანიჭებს უფლებამოსილებას, შეიმუშაონ სათანდო მენეჯმენტის წესები, რომლებიც დაეფუძნება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ელემენტებს და, შედეგად, შექმნის საკითხების მარეგულირებელ თანამედროვე სამართლის სისტემას. გარდა ამისა, კომპანიები თავდაუზოგავად უნდა შეეცადონ, შეასრულონ მთავრობის ანტიკორუფციული პოლიტიკის პრიორიტეტული მიზნები. ეს უნდა განხორციელდეს ანტიკორუფციულ ღონისძიებებზე პასუხისმგებელ პირებთან აქტიური თანამშრომლობითა და მათთან პარტნიორობით, რათა მიღწეული იყოს მაქსიმალური შედეგი.

მიზანი 1 – სამუშაო პროცესში პასუხისმგებლობის, კეთილსინდისიერებისა და გამჭვირვალობის გაძლიერება;


მიზანი 2 – ყველა ღონებზე კორუფციის აღმოსაფხვრელად წინაპირობების შექმნა;

მიზანი 3 – კორუფციის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის განმტკიცება.

პროგრამის ამოცანებისა და ზოგადი სტრატეგიული მიზნების მისაღწევად, პროგრამა ძირითადად ორიენტირებულია ხუთ მიმართულებაზე:

- სახელმწიფო სამსახურში სერვისის გაუმჯობესება საქმიანობის წარმატებული განხორციელებისათვის, პასუხისმგებლობის გაძლიერება კეთილსინდისიერებისა და გამჭვირვალობის განვითარებისათვის;
- საქმიანობის განხორციელება სათანადოდ, ეთიკის დაცვით, ეკონომიკურად და ეფექტურად;
- საქმიანობის წარმართვა კანონებისა და დადგენილი პოლიტიკის, გეგმებისა და წესების შესაბამისად;
- ქონებისა და სხვა რესურსის დაცვა არაეფექტური მენეჯმენტისა და უსაფუძვლო ხარჯებით გამოწვეული ზარალისაგან, ასევე – თაღლითობისა და სხვა არსათანადო ქმედებებისგან;
- შედეგების დროული ფინანსური ანგარიშება და მონიტორინგი;
- 18 ღონისძიება კორუფციის მიზეზების მეთოდურად აღმოსაფხვრელად.

სურათი 1: კორუფციის აღმოფხვრა – პიროვნებები და ორგანოები კომპანიის შიგნით და გარეთ



II. კორუფციის მიზანების აღმოვლენის მიზნით, ანტიკორუფციული პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიები

მიზანი 1 – სამუშაო პროცესში პასუხისმგებლობის, კეთილსინდისიერებისა და გამჭვირვალობის გაძლიერება

კომპანიამ საქმიანობა ყველა დონეზე უნდა წარმართოს გამჭვირვალედ, გეგმიურად და გასაგებად. მენეჯმენტი პასუხისმგებელი უნდა იყოს მომხმარებლების, მიმწოდებლების, სახელმწიფოსა და სხვა პარტნიორების წინაშე, ამასთან, საკუთარი წესებითა და გადაწყვეტილებებით უნდა იპოვოს გონივრული და მისაღები გამოსავალი. წარმოგიდგენთ ზოგად მოთხოვნას:

ლონისძიება 1.1. კომპანიამ უნდა განსაზღვროს და საკუთარ ვებ-გვერდზე წარმოადგინოს მისი ხედვა და მისია, ზოგადი და კონკრეტული მიზნები მომავალი სამი წლისთვის და ძირითადი ორგანიზაციული ღირებულებები და პრინციპები მესამე პირებთან ურთიერთობისას (მომხმარებლები, მიმწოდებლები, სახელმწიფო და სხვა პარტნიორები).

ლონისძიება 1.2. კომპანიამ უნდა განსაზღვროს და სახელმძღვანელო პრინციპების სახით გამოსცეს, ანდა ორგანიზაციის შინაგანანესში გაითვალისწინოს კონკრეტული ღირებულებები და წესები კორუფციის პრევენციისა და პროფესიონალური ქცევის უზრუნველსაყოფად. კერძოდ, ეს შეიძლება შეეხებოდეს: ბიზნეს პარტნიორებისათვის, ან მათგან, საჩუქრებისა და ანაზღაურების მიღებას; კომპანიის სახსრების მენეჯმენტს; კონფიდენციალობასა და მიუკერძოებლობას; სამუშაო საათებს ზემოთ დამატებითი საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობას; კერძო და ოფიციალური ინტერესების გამიჯვნას და სხვა.

ლონისძიება 1.3. თანამშრომელთათვის, რომელთაც, რისკებისა და ანალიზის შეფასების თანახმად, მაღალი კორუფციული რისკის მქონე თანამდებობა უკავიათ (მაგალითად, სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილენი, გარკვეული უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებული დოკუმენტების გამომცემი პირები), კომპანიამ უნდა დააზესოს კონფიდენციალურობისა და მიუკერძოებლობის განცხადებაზე ხელმოწერის ვალდებულება. განცხადების საფუძველზე, ასეთ თანამდებობაზე დასაქმებული პირები იღებენ ფინანსურ და სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობას და ადასტურებენ, რომ გასულ წელს მათ

მიერ განხორციელებული საქმიანობა სრულად შეესაბამებოდა მოქმედ კანონებსა და რეგულაციებს და მიმდინარე წელს ისინი კვლავაც გააგრძელებენ კანონის ფარგლებში მოქმედებას. ამ დოკუმენტს ხელი ყოველი წლის დასაწყისში უნდა მოეწეროს, არაუგვიანეს 31 იანვრისა.

ლონისძიება 1.4. კომპანიამ უნდა დაამტკიცოს და თანამშრომელთა შორის გაავრცელოს ე.წ. დისციპლინური კოდექსი, რომელიც ითვალისწინებს დისციპლინურ ღონისძიებებსა და პროცედურებს ეთიკური ქცევის წესების დარღვევისას, რათა მოხდეს ცნობიერების ამაღლება არსებული აკრძალვებისა და იმ შედეგების შესახებ, რაც კანონსაწინააღმდეგო ქმედებას მოჰყვება.

ლონისძიება 1.5. შესყიდვის განხორციელების შემთხვევაში, როცა საქონლის ღირებულება აღემატება HRK 6,000,000.00 (800.000 €)-ს, ხოლო შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება HRK 12,000,000.00 (1.200.000 €)-ს აჭარბებს, ტენდერის მონაწილეებმა ხელი უნდა მოაწეროს კეთილსინდისიერების განაცხადს (the Integrity Statement). დოკუმენტის საფუძველზე, ისინი წერილობით ადასტურებენ, რომ ტენდერის პროცედურები ჩატარდა სათანადოდ და კანონშეუსაბამობებს ადგილი არ ჰქონია (კორუფცია ან თაღლითობა, არასათანადო შეღავათის შეთავაზება, მიცემა ან დაპირება, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს კომპანიის თანამშრომლის ქმედებაზე), თანხმობას აცხადებენ დამოუკიდებელი ექცერტების მიერ აუდიტის ჩატარებაზე და, შესაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში, იღებენ პასუხისმგებლობას (როგორიცაა სხვადასხვა სანქცია, ხელშეკრულების უპირობო მოშლა). გარდა ამისა, შესყიდვის ზოგადი წესები უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლებიც საერთო უნდა იყოს ყველა სახელმწიფო შესყიდვის პროცედურებისათვის. კომპანიის სამოქმედო გეგმიდან დაწყებული, აღნიშნული ღონისძიება უნდა განხორციელდეს უწყვეტად.

ლონისძიება 1.6. უნდა გაუმჯობესდეს ინფორმაციაზე ხელმისაწილით და ამ, მიზნით, კომპანიის ვებ-გვერდზე შეიქმნას ინფორმაციის კატალოგი. კომპანიამ აგრეთვე უნდა აწარმოოს ინფორმაციის გამოთხოვნისა და ხელმისაწვდომობის შესახებ გადაწყვეტილებებისა და პროცედურების ოფიციალური რესტრი, როგორც ეს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ აქტშია მოცემული. აღნიშნული აქტი არეგულირებს რესტრის სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოების წესს.

ლონისძიება 1.7. კომპანიის ვებ-გვერდზე ინფორმაციის გამოქვეყნება, კერძოდ:

- 1.7.1. ინფორმაცია ხორვატიის რესპუბლიკის მთავრობასთან შეთანხმებით მენეჯმენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და გატარებული ლონისძიებების შესახებ;
- 1.7.2. ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის შესახებ, შესაბამისი მონაცემებით, ორგანიზება, საქმიანობის ღირებულება და დაფინანსების წყაროები. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია – კომპანიის ფინანსური აუდიტის შესახებ დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ გაკეთებული დასკვნა.
- 1.7.3. ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ აქტის საფუძველზე განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, მათ შორის: სახელმწიფო შესყიდვების გამოცხადება, სატენდერო ინფორმაცია და სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებული დოკუმენტები, სატენდერო განაცხადების გახსნის ოქმები, ინფორმაცია ყველა დაწყებული სახელმწიფო შესყიდვისა და სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებების შესახებ (კომპანიის შერჩევა, უარყოფა და ა.შ.), ინფორმაცია დადებული ხელშეკრულებების თაობაზე.
- 1.7.4. ინფორმაცია კადრების შერჩევის შესახებ, მათ შორის, ტესტირების გამოცხადება, კანდიდატების ტესტირებისთვის მოსამზადებლად – სამართლებრივი და სხვა წყაროები, ინტერვიუს გრაფიკი, ინფორმაცია კონკურსის მიმდინარეობის შესახებ პროცესის შეჩერების ანდა საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაში.
- 1.7.5. ინფორმაცია სხვა პროცესების შესახებ, რომლებიც, არსებული ხარვეზების გამო, სარისკოდ შეიძლება შეფასდეს ან საზოგადოების ინტერესს იმსახურებს.

ეს ლონისძიება მოიცავს უწყვეტ განხორციელებას, თუმცა, ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კომპანიის ვებგვერდზე უნდა განთავსდეს.

მიზანი 2 – ყველა დონეზე კორუფციის აღმოსაფხვრელად ნინაპირობების შექმნა

კომპანიებში, სადაც ასეთი სტრუქტურა არ არსებობს, უნდა ჩამოყალიბდეს ანტიკორუფციული სტრუქტურები, ხოლო არსებული უნდა გაძლიერდეს ისე, რომ თითოეულმა თანამშრომელმა საკუთარი წვლილი შეიტანოს ამ მიმართულებით მიღწეულ პროგრესში, აღმოფხვრას ყველა შესაძლო სიტუაცია, რაც კორუფციული დანაშაულის შემცველი შეიძლება იყოს.

ზოგადი მოთხოვნები:

ლონისძიება 2.1. კომპანიაში უნდა დაინიშნოს საინფორმაციო ოფიცერი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ინფორმაციის თავისუფლების უფლების რეალიზებაზე, ინდივიდუალურ განცხადებებზე პასუხის მიწოდებასა და ინფორმაციის რეგულარულ გამოქვეყნებაზე, აგრეთვე, ინფორმაციის კატალოგისა და 1.6. ლონისძიებაში მითითებული ოფიციალური შურნალის სათანადოდ წარმოებაზე.

ლონისძიება 2.2. კომპანიას უნდა ჰყავდეს ეთიკის საკითხებზე მომუშავე პირი, რომელიც ვალდებული იქნება, მიიღოს თანამშრომელთა არაეთიკური ან პოტენციურად კორუფციული ქმედების შესახებ შემოსული განცხადებები და ხელი შეუწყოს თანამშრომელთა მხრიდან ეთიკურ ქცევას.

ლონისძიება 2.3. კომპანიამ უნდა ჩამოყალიბოს და გააძლიეროს ფინანსური მენეჯმენტისა და კონტროლის სისტემა, როგორც ეს შიდა სახელმწიფო ფინანსური კონტროლის აქტშია მითითებული. უნდა მოხდეს კონტროლის ყველა მექანიზმის უწყვეტი გამოყენება ბიზნეს საქმიანობისა და ბიზნეს მენეჯმენტის კონტროლისა და მონიტორინგის უზრუნველსაყოფად, თავიდან უნდა იყოს აცილებული კორუფცია და გაძლიერდეს კონტროლის მექანიზმი რისკის შეფასების, დადგენისა და შემცირების თვალსაზრისით.

ლონისძიება 2.4. კომპანიამ უნდა ჩამოყალიბოს და გააძლიეროს შიდა აუდიტი, როგორც ეს შიდა სახელმწიფო ფინანსური კონტროლის აქტშია მითითებული. დაცული უნდა იყოს აუდიტის პროცესის კეთილსინდისიერება. თაღლითობის ან კორუფციის შესახებ ეჭვის შემთხვევაში, აუდიტორებსა და ბუღალტრებს

მოეთხოვებათ თანმიმდევრული და აუდიტით დადგენილი წესების შესაბამისი ქმედება.

ლონისძიება 2.5. კომპანიამ უნდა ჩამოაყალიბოს და/ან გააძლიეროს აუდიტის კომიტეტი, რომელიც მონიტორინგს უწევს ფინანსური ანგარიშების პროცესს, ორგანიზაციული აუდიტის სისტემის ეფექტურობას, ორგანიზაციულ-ფინანსური კონტროლის სისტემას, რისკ-მენეჯმენტის სისტემას და ზედამხედველობს წლიური ფინანსური ანგარიშის აუდიტის შესრულებას.

ლონისძიება 2.6. კომპანიებმა უნდა მოამზადონ წლიური სამოქმედო გეგმები 2.1, 2.2, 2.3, 2.4 და 2.5 ლონისძიებით გათვალისწინებული ყველა სტრუქტურისათვის.

ლონისძიება 2.7. კომპანიებმა უნდა შექმნან ხარვეზების გამოვლენის ეფექტური სისტემა – მექანიზმი, რომელიც გამოყენებული იქნება ხარვეზების, თაღლითობისა და კორუფციის სავარაუდო შემთხვევების გამოსავლენად. ეს აგრეთვე გულისხმობს ანგარიშების სისტემის ჩამოყალიბებას, რომლის საშუალებითაც თანამშრომლები მიუთითებენ პრობლემის წყაროსა ან სავარაუდო კორუფციის ფაქტზე ისე, რომ არ გახდებიან შურისძიების ობიექტი. ამისათვის აუცილებელია, რომ კომპანიის ვებ-გვერდზე მითითებული იყოს ელექტრონული ფოსტის მისამართი და კომპანიას ჰყავდეს სპეციალური ოფიცერი, რომელიც სავარაუდო დარღვევებთან დაკავშირებულ საკითხებზე იმუშავებს, პასუხისმგებელი იქნება სპეციალური ჟურნალის წარმოებაზე და განახორციელებს შესაბამის ლონისძიებებს მექანიზმით გათვალისწინებული პროცედურების საშუალებით ნაკლოვანებებისა და თაღლითობის აღმოსაფხვრელად.

ლონისძიება 2.8. კომპანიებმა კეთილსინდისიერების დონის ასამაღლებლად უნდა შექმნან თვითშეფასების მექანიზმი. აღნიშნულის ნიმუშად შესაძლებელია გამოყენებული იყოს თვითშეფასების კვლევა, რომელიც იმ ინსტრუქციის განუყოფელი ნაწილია, რომლის მიხედვითაც იქმნება ორგანიზაციის ყოველწლიური ანგარიში (შიდა ფინანსური კონტროლის ანგარიში).

მიზანი 3 – კორუფციის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის განმტკიცება

ანტიკორუფციული ღონისძიებების შესახებ ცნობიერების ამაღლება თანაბრად მნიშვნელოვანია როგორც მენეჯმენტის, ისე სხვა თანამშრომლებსთვის, ვინაიდან კეთილსინდისიერი თანამშრომელი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გზაზე.

ზოგადი მოთხოვნები:

ღონისძიება 3.1. კომპანიამ უნდა შეაფასოს პრობლემები და შეამოწმოს თანამშრომელთა ცოდნის დონე იმ სფეროში, სადაც ნულოვანებები დაფიქსირდა, რათა უზრუნველყოს სისტემის შემდგომი განვითარება, პროგრესი და თანამშრომელთა კვალიფიკაციის მაღალი მაჩვენებელი.

ღონისძიება 3.2. კომპანიამ, თანამშრომელთა ეთიკური კომპეტენციის ჩამოსაყალიბებლად, უნდა შემოიღოს სავალდებულო სპეციალიზირებული ტრენინგი. აუცილებელია დამატებითი ტრენინგის ჩატარება ეთიკის, ფინანსური მენეჯმენტის, ორგანიზაციული ზედამხედველობისა და კონტროლის, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, ასევე, დაზარალებულთა და იმ პირთა დასაცავად, ვინც კორუფციის ფაქტების შესახებ ინფორმაციას აწოდებს. ღონისძიება საჭიროებს უწყვეტ განხორციელებას.

ღონისძიება 3.3. უნდა დამტკიცდეს ტრენინგის გეგმა.

III. ანტიკორუფციული პროგრამის განხორციელების მონიტორინგი

ანტიკორუფციული პროგრამის მიხედვით, ხორვატიის მთავრობამ კომპანიებში არსებულ კომპეტენტურ ორგანოებს მიანიჭა უფლებამოსილება, შეიმუშაონ სამოქმედო გეგმები ანტიკორუფციული პროგრამის ღონისძიების შესაბამისად. სამოქმედო გეგმა იძლევა პროგრამის განხორციელების სისტემური მონიტორინგის საშუალებას და წარმოადგენს კონტროლის მექანიზმს, რომელიც გვაჩვენებს, რამდენად სრულად ხორციელდება გარკვეული ღონისძიება და საჭიროებს თუ არა ის შემდგომ დახვეწას. იგი ასევე წარმოადგენს ანტიკორუფციული პროგრამის ფარგლებში ანგარიშგების ტექნიკურ დახმარებას.

კომპანიებში არსებულ კომპეტენტურ ორგანოებს მიენიჭათ უფლებამოსილება, დაამტკიცონ სამოქმედო გეგმები და წარადგინონ ისინი შესაბამის დარგობრივ სამინისტროებში. კომპანიების ხელმძღვანელებმა უნდა განახორციელონ, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოებმა მონიტორინგი გაუწიონ ანტიკორუფციული პროგრამის ღონისძიებებს.

ანტიკორუფციული პროგრამის განხორციელების დასაწყისშივე გამოვლინდა ანტიკორუფციული პროგრამით გათვალისწინებული მონიტორინგის მექანიზმის ნაკლოვანებები:

- ვინაიდან იმ დროისათვის არ არსებობდა სახელმწიფო საკუთრების ცენტრალური სააღრიცხვო სისტემა, შეუძლებელი იყო სახელმწიფოს ძირითადი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კომპანიების განსაზღვრა, რომლებიც ვალდებული იქნებოდნენ, შეესრულებინათ ანტიკორუფციული პროგრამა;
- არ იყო განსაზღვრული კომპანიების შესაბამისი დარგობრივი სამინისტროები;
- არ იყო განსაზღვრული შესაბამისი სამინისტროს შიგნით კომპანიის მონიტორინგის განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი;
- დიდი განსხვავებება არსებობდა თვით სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ კომპანიებს შორის მათი სტრუქტურისა და სიდიდის თვალსაზრისით (მაგ. HEP Group – ელექტრომომარაგება – ჰყავდა 13684 თანამშრომელი

2012 წელს, ხოლო ზოგიერთ სხვა კომპანიას – მხოლოდ დაახლოებით 10 თანამშრომელი);

- ზოგ კომპანიაში რთული იყო ეფექტური მონიტორინგის სისტემის დანერგვა მათი დაბალი სიმძლავრის გამო;
- ზოგიერთი კომპანია იმყოფებოდა პრივატიზაციის ან გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში;
- არ იყო ცნობილი, ვის გააჩნდა ანტიკორუფციული პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება კომპანიის შიგნით;
- პირველადი სამოქმედო გეგმები და წარმოდგენილი ანგარიშები იმდენად განსხვავდებოდა, რომ შეუძლებელი იყო პროგრამის განხორციელების ნათელი სურათის მიღება;
- არ არსებობდა ვინმე, ვინც რჩევას მიცემდა კომპანიებს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით;
- არ არსებობდა კოორდინაცია კომპანიებს, შესაბამის სამინისტროებსა და მთავრობას შორის.

ანტიკორუფციული პროგრამის განხორციელების დასაწყისშივე აღმოჩენილმა ნაკლოვანებებმა ცხადი გახადა მონიტორინგის სისტემის სწრაფი შეცვლის აუცილებლობა.

იუსტიციის სამინისტროს დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სექტორი, როგორც ხორვატიაში კორუფციის აღმოფხვრის ცენტრალური ადგილი, სათავეში ჩაუდგა ანტიკორუფციული პროგრამის განხორციელებას – ქვემოთ მოყვანილი მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბებით.

1. შესაბამისი კომპეტენტური სამინისტროების განსაზღვრა და ანტიკორუფციული პროგრამის განხორციელების კოორდინაციონისათვორის დანიშვნა სამინისტროებში

ანალიზის შემდეგ განისაზღვრა სამინისტროები, რომლებიც მართავენ წილს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ კომპანიებში: ფინანსთა სამინისტრო, ეკონომიკის სამინისტრო, საზღვაო საქმეთა, ტრანსპორტისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ტურიზმის სამინისტრო, შინაგან

საქმეთა სამინისტრო, ჯანდაცვის სამინისტრო, მეცნიერების, განათლების და სპორტის სამინისტრო (მაგ. საზღვაო საქმეთა, ტრანსპორტისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო „ხელმძღვანელობს“ კომპანიებს – დაკავშირებულს მაგისტრალებთან, რკინიგზასთან, პორტებთან და ა.შ.)

2. **სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ კომპანიებში ანტიკორუფციული სისტემის მონიტორინგისა და განვითარების საკოორდინაციო საბჭოს შექმნა**

იუსტიციის სამინისტროს დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სექტორის თავმჯდომარეობით შეიქმნა სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ კომპანიებში ანტიკორუფციული სისტემის მონიტორინგისა და განვითარების საკოორდინაციო საბჭო (შემდგომში მოხსენიებულია, როგორც კოორდინაცია). საკოორდინაციო საბჭოში წარმოდგენილი არიან შესაბამისი სამინისტროების მიერ დანიშნული კოორდინატორები და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წარმომადგენლები.

კოორდინაციის როლი:

- ანტიკორუფციული ღონისძიებების ეფექტური მონიტორინგის სისტემის დანერგვა;
- ანტიკორუფციული პროგრამის განხორციელების სამოქმედო მეთოდოლოგიის შემუშავება;
- სახელმწიფო ადმინისტრაციის მიერ (კოორდინატორები შესაბამის სამინისტროებში) ანტიკორუფციული პროცედურების განხორციელების გაძლიერება, რაც ხელს შეუწყობს როგორც კომპანიების შიგნით დანიშნული პერსონალის მიერ განხორციელებული ანტიკორუფციული ღონისძიებების კოორდინირებულ მონიტორინგს (ეთიკის კომისიის წევრები, ხარვეზებზე რეაგირების ოფიცირები, საინფორმაციო ოფიცირები), აგრეთვე, მათი სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ განხორციელებული ანტიკორუფციული ღონისძიებების კოორდინირებულ მონიტორინგს (კომპანიის მენეჯმენტი, სამეთვალყურეო საბჭო, სარევიზიო კომისიები, შიდა აუდიტის ერთეულები, ფინანსური მართვის ერთეულები), რაც იქნება კორუფციის ეფექტურად და კოორდინირებულად თავიდან აცილების

წინაპირობა და უზრუნველყოფს პრევენციის სისტემის ჩამოყალიბებას.

- ანტიკორუფციული პროგრამის განხორციელებისა და მონიტორინგის კვლევის შემუშავება და მისი საბოლოო ვერსიის მომზადება;
- ანტიკორუფციული პროგრამის განხორციელების მონიტორინგის დროს აღმოჩენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრა, ანუ კონკრეტული საკითხების გადაჭრა;
- მიღებული დოკუმენტების არსებულ აქტებსა და დამკვიდრებულ პრაქტიკასთან ჰარმონიზაციის უზრუნველყოფა;
- ანტიკორუფციული პროგრამის განხორციელების ანგარიშების ფორმების, საშუალებებისა და ვადების შემდგომი გაუმჯობესების მხარდაჭრა;
- კომპანიების მიერ კვლევის დასრულებისა და მონაცემთა კონსოლიდაციის ვადების დადგენა;
- ადგილზე სისტემის მუშაობის მონიტორინგი კონკრეტული რაოდენობრივი მონაცემების გაზომვით.

3. სამოქმედო მეთოდოლოგია

კომპანიებს მიეცათ რეკომენდაცია, თვითშეფასების განხორციელების დროს, უპირველეს ყოფლისა, გამოეყენებინათ შიდა აუდიტი. თუ ის იმ დროისათვის არ არსებობდა, შეფასებას ახორციელებდა თვითშეფასების ჯგუფი.

შიდა აუდიტი არის დამოუკიდებელი, ობიექტური ღონისძიება, რომელიც გამოხატავს პროფესიონალურ მოსაზრებას შიდა კონტროლის სისტემის ადეკვატურობასა და ეფექტურობაზე შიდა კონტროლის განხორციელების დროს, რაც, თავისთავად, მიზნად ისახავს საქმიანობის გაუმჯობესებას და მისთვის გარკვეული ღირებულების შეძენას. შიდა აუდიტის განხორციელების მიზანს ნარმოადგენდა ანტიკორუფციული პროგრამის განხორციელების ეფექტურობის შეფასება შესაბამის ეროვნულ რეგულაციებთან (არსებულ გადაწყვეტილებებთან) მიმართებით, აგრეთვე, სისტემის გაუმჯობესებისათვის რეკომენდაციების შემუშავება შემდეგი ღონისძიებების მეშვეობით:

- ანტიკორუფციული პროგრამის მიზნებისა და ღონისძიებების ჰარმონიზაცია ანტიკორუფციული პროგრამის განხორციელებასთან, ასევე, წესები, რომლებიც არეგულირებენ კონკრეტულ საკითხებს;
- სისტემის შექმნა;
- განხორციელების ეფექტურობა (ტრენინგები, ანგარიშება, გაუმჯობესება).

ანტიკორუფციული პროგრამის განხორციელების მონიტორინგის ჯგუფის რეკომენდირებული შემადგენლობა წარმოდგენილი იყო პროფესიონალი შიდა აუდიტორებისაგან.

თვითშეფასება არის ობიექტური საქმიანობა, რომელიც წარმოადგენს ინფორმაციას მოქმედი შიდა კონტროლის სისტემის მდგომარეობის შესახებ. თვითშეფასების მიზანს წარმოადგენს ანტიკორუფციული პროგრამის განხორციელების სტატუსის შეფასება შესაბამის ეროვნულ კანონმდებლობასთან მიმართებით (ან წარმატებულ გადაწყვეტილებებსა და გავრცელებულ პრაქტიკასთან) შემდეგი საშუალებებით:

- ანტიკორუფციული პროგრამის მიზნებისა და ღონისძიებების ჰარმონიზაცია ანტიკორუფციული პროგრამის განხორციელებასთან, ასევე, წესები, რომლებიც არეგულირებენ სპეციფიკურ საკითხებს;
- სისტემის შექმნა;
- განხორციელების ეფექტურობა (ტრენინგები, ანგარიშება, გაუმჯობესება).

4. კვლევა

ანტიკორუფციული პროგრამის განხორციელების ნათელი სურათის მისაღებად შემუშავდა ანტიკორუფციული გეგმის განხორციელების კვლევა, რომელიც მოიცავდა როგორც კონკრეტულ კითხვებს თითოეულ კომპანიაში ანტიკორუფციული პროგრამის განხორციელების თაობაზე, აგრეთვე, ზოგადი ხასიათის კითხვებს ანტიკორუფციული პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით. ყველა დეტალის გაანალიზების საშუალებით, კვლევა იძლეოდა ანტიკორუფციული პროგრამის განხორციელებისას წარმოშობილი რისკების გამოვლენის

საშუალებას. სამინისტროებში ანტიკორუფციული პროგრამის კოორდინატორების მეშვეობით, ალნიშნული კვლევა გადაიგზავნა კომპანიებში და მიეთითა მისი შევსების და უკან დაბრუნების თარიღი.

2012 წლის აპრილში შედგენილი ანტიკორუფციული პროგრამის განხორციელების კვლევა მოიცავდა 183 კითხვას, საიდანაც 133 პირდაპირ ეხებოდა კონკრეტული ღონისძიებების შესრულებას (დიახ/არა), ხოლო 50 კითხვა მოითხოვდა რაოდენობრივ და ინფორმაციულ მონაცემებს.

კომპანიები „კი/არა“ პასუხს სცემდნენ იმ შეკითხვებს, რომლებიც უკავშირდებოდა უშუალოდ ღონისძიებების განხორციელებას. თუმცა, პასუხების დასაზუსტებლად (გასამყარებლად), კომპანიები ვალდებული იყვნენ, მიეთითებინათ, უშუალოდ, დოკუმენტი ან ვებ-გვერდის მისამართი, რომელიც გამოდებოდა კონკრეტული ანტიკორუფციული ღონისძიების დასადასტურებლად.

მაგ: ცხრილი 2. სასტუმრო მაკარსკა

მიზანი / ღონისძიება / კითხვა	პასუხი (დიახ/არა)	მითითებული დოკუმენტი (მოხსენებითი პარათი, გადაწყვეტილება, აქტი, სხვა.)
1.6.2. არის თუ არა საინფორმაციო კატალოგი გამოქვეყნებული კომპანიის ვებ-გვერდზე?	დიახ	http://www.hotelimakarska.hr/files/File/opce-informacije/antikorupcijski-programi/2306.pdf

ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებულ კითხვებთან ერთად, კვლევა შეიცავდა კითხვებს გარკვეული რიცხობრივი მონაცემებით, რათა დადასტურებულიყო ანტიკორუფციული სისტემის რეალური ფუნქციონირება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა მონაცემებს ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ, ეთიკის გაძლიერებისა და დარღვევებზე რეაგირების სისტემის შესახებ.

მაგ: ცხრილი 3. კითხვები

<p>ლონისძიება 2.1. დაინიშნოს ინფორმაციის ოფიცერი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლების აღსრულებაზე, დააკმაყოფილებს ინდივიდუალურ მოთხოვნებს და, აგრეთვე, პასუხისმგებელი იქნება ინფორმაციის რეგულარულ გამოქვეყნებაზე, განახორციელებს ნებისმიერ საქმიანობას, რაც უზრუნველყოფს ლონისძიება 1.6-ში მითითებული საინფორმაციო კატალოგის სათანადო დაცვას.</p>
<p>2.1.1. არის თუ არა ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლების აღსრულებაზე პასუხისმგებელი პირი - ინფორმაციის ოფიცერი - აქტის მოთხოვნების შესაბამისად დანიშნული? (დადებითი პასუხის შემთხვევაში, მიუთითეთ კომპანიის ვებგვერდის შესაბამისი ბმული).</p>
<p>2.1.2. არის თუ არა ინფორმაციის ოფიცრის საკონტაქტო მონაცემები (ფაქტობრივი მისამართი, საფოსტო ინდექსი, ელ-ფოსტის მისამართი, ტელეფონი, ფაქსი) მითითებული კომპანიის ვებ-გვერდზე?</p>
<p>2.1.3. აწოდებს თუ არა ინფორმაციის ოფიცერი ყოველკვარტალურად თავის მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშს სამეთვალყურეო საბჭოს?</p>
<p>2.1.4. ანგარიშვალდებულია თუ არა ინფორმაციის ოფიცერი შესაბამის დაწესებულებასთან, რაც გათვალისწინებულია ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის აქტის 25-ე მუხლით?</p>
<p>2.1.5. ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ რამდენი განაცხადი იყო მიღებული 2011 წელს?</p>
<p>2.1.6. ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ რამდენ განაცხადზე მიიღეს გადაწყვეტილება 2011 წელს?</p>
<p>2.1.6. ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ რამდენი განაცხადი დაკმაყოფილდა?</p>
<p>2.1.6. ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ რამდენი განაცხადი იყო უარყოფილი?</p>
<p>2.1.6. ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ რამდენი განაცხადი გადამისამართდა?</p>

ანტიკორუფციული პროგრამის განმახორციელებელი კომპანიების სტრუქტურა სიდიდით, თანამშრომელთა რიცხოვნობითა და ფინანსური მაჩვენებლებით ძალიან

განსხვავებულია. ამ განსხვავებების წარმოსაჩენად, კვლევა მოიცავდა კითხვებს კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობის, შემოსავლების, ხარჯების, მოთხოვნების, კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ, აგრეთვე, შვილობილი კომპანიების თაობაზე.

პასუხისმგებლობა კომპანიებში ანტიკორუფციული პროგრამის წარმატებულად განხორციელებისათვის
– კომპანიების გამჭვირვალობის წახალისების, ასევე, ანტიკორუფციული პროგრამის განხორციელებასა და მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირების მიზნით ჩატარებული კვლევა მოიცავდა კითხვებს, რომელთა მიხედვითაც, კომპანიებს უნდა წარედგინათ მონაცემები მათი ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო საბჭოების შემადგენლობის შესახებ, აგრეთვე, ინფორმაცია სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ანტიკორუფციული პროგრამის განხორციელებისათვის პასუხისმგებლობის განსაზღვრასთან ერთად, აღნიშნული სია ასევე იძლეოდა შესაძლებლობას, გამოვლენილყო პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის შემთხვევები.

5. გაერთიანებული ანგარიში

ყველა დოკუმენტის განხილვის შემდეგ გუნდებმა შეაფასეს თითოეული ღონისძიების შესრულება და ხელმძღვანელობისათვის, სამეთვალყურეო საბჭოებისა და სარევიზიო კომისიებისათვის მათი წარდგენის შემდეგ, შედეგები გადაგზავნეს კოორდინატორებთან შესაბამის სამინისტროებში, რომლებმაც მოახდინეს ინფორმაციის განზოგადება და შემდგომი კონსოლიდაციისა და საბოლოო ანგარიშის მომზადების მიზნით, მასალა მიაწოდეს იუსტიციის სამინისტროს დამოუკიდებელ ანტიკორუფციულ სექტორს.

საანგარიშოპერიოდიმოიცავდაექვსთვეს(ყოველიწლისმაისიდა ნოემბერი). ამიტომ ამ პერიოდისათვის (2010-2012წწ) არსებობს ხუთი კონსოლიდირებული ანგარიში. ანტიკორუფციული პროგრამის საკონფიდინაციო ღონისძიებების განხორციელების დროს გაუმჯობესდა მონიტორინგის მექანიზმი, კვლევას დაემატა ახალი კითხვები და გადაიჭრა ის საკითხები და პრობლემები, რომლებმაც თავი იჩინეს განხორციელების დროს.

გაერთიანებული ანგარიშის მომზადების დასრულების შემდეგ იუსტიციის სამინისტროს ანტიკორუფციულმა სექტორმა ხორვატიის მთავრობას წარუდგინა ანგარიშიანტიკორუფციული პროგრამის განხორციელების შესახებ.

ანგარიშებში მოცემული იყო არსებული ვითარების ანალიზი და სპეციფიკური საკითხების გაუმჯობესების რეკომენდაციები. კომპანიების მიერ განხორციელებული პროგრამით გათვალისწინებული საქმიანობების შედეგების განხილვამ ასევე გამოავლინა, თუ რომელი კომპანია იყო ყველაზე წარმატებული ანტიკორუფციული პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებისას. კვლევაში კომპანიის ფინანსური მაჩვენებლებისა და კომპანიის სიდიდის შესახებ კითხვების ჩართვამ გააადვილა შედარებების გაკეთება და მსგავს კომპანიებს შორის ანტიკორუფციული პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა წარმატებით შემსრულებლების გამოვლენა.

საკუთრების აღრიცხვიანობის, პრივატიზაციის პროცესებისა და წარმოებაში მყოფი გადახდისუნარობის საქმეების სათანადო მონაცემთა ბაზის არქონის გამო, სახელნიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კომპანიების რაოდენობა შეიცვალა 86-დან (პირველ ანგარიშში) 71-მდე (მესუთე ანგარიშში).

ყველა გაერთიანებული ანგარიში წარდგენილი იყო საჯარო კონფერენციებზე, რომლებიც შესაბამისი სამინისტროს ანტიკორუფციული სექტორის მიერ იყო ორგანიზებული. გარდა ამისა, ყველა კომპანიის თითოეული გაერთიანებული ანგარიში ცალ-ცალკე გამოქვეყნდა იუსტიციის სამინისტროს ანტიკორუფციული სექტორის ვებ-გვერდზე.

სურათი 2: ანტიკორუფციული პროგრამის განხორციელების ანგარიშების სერმა



IV. ღონისძიებათა განხორციელება

დასრულებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ თითქმის ყველა კომპანიამ დავალება მაღალ დონეზე შეასრულა, თუმცა, დაფიქსირდა რამოდენიმე არასასურველი მაგალითი.

განხორციელებული ღონისძიებების პროცენტულობამ აჩვენა, რომ ანტიკორუფციული პროგრამა წარმატებით განხორციელდა. ღონისძიებების ჯამი ყველა კომპანიასთან მიმართებით მიანიშნებდა, თუ რომელი ღონისძიება იყო საუკეთესოდ განხორციელებული და რომელი საჭიროებდა დამატებით ძალასხმევას.

ანტიკორუფციული პროგრამის 10 წარმატებულად განხორციელებული ღონისძიების მაგალითი (IV ანგარიში):

- ანტიკორუფციული პროგრამის განხორციელების მონიტორინგისათვის შეიქმნა სამეთვალყურეო საბჭო (ყველა კომპანიის 94,19%);
- განისაზღვრა მისაა, ხედგა და განთავსდა ვებ-გვერდზე (90,70%);
- შეიქმნა დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს ბიზნეს პარტნიორებისგან საჩუქრებისა და ანაზღაურების მიღებისა და გაცემის საკითხებს, კომპანიის ფინანსური სახსრების მართვას, კონფიდენციალობასა და მიუკერძოებლობას, დამატებითი სამუშაოს შესრულების შესაძლებლობას, კერძო და ოფიციალური ინტერესების გამიჯვნას და სხვა (89,53%);
- დაინიშნა საინფორმაციო ოფიცერი (89,53%);
- დაინიშნა ეთიკის კომისარი (88,37%);
- კომპანიის ყველა თანამშრომელს ეცნობა ეთიკის კომისრის დანიშვნის შესახებ (88,37%);
- განისაზღვრა ზოგადი და კონკრეტული ამოცანები მომავალი სამი წლისათვის და განთავსდა ვებ-გვერდზე (87,21%);
- კომპანიის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ინფორმაციის კატალოგი (87,21%);
- განისაზღვრა მესამე პირებთან ურთიერთობის ზოგადი ორგანიზაციული ღირებულებები და პრინციპები და განთავსდა ორგანიზაციის ვებ-გვერდზე (86,05%);
- დაინიშნა ხარვეზებზე მომუშავე ოფიცერი (86,05%).

1. კომპანიის წარმატება ლონისძიებების განხორციელება-ში – კონკრეტული ანტიკორუფციული ლონისძიებების შერჩევა

1.1. კომპანიის საქმიანობის გამჭვირვალობა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება

საქმიანობის გამჭვირვალობა, როგორც კორუფციის წარმატებით დაძლევის გასაღები, ერთ-ერთი მთავარი ანტიკორუფციული ამოცანაა. ანტიკორუფციული პროგრამა მოიცავს ლონისძიებებს, რომელთა მიზანია, კომპანიებმა გამოაქვეყნონ:

- ინფორმაცია თავიანთი საქმიანობის შესახებ, მათ შორის, საქმიანობის მონაცემები, ორგანიზება, საქმიანობის ღირებულება და დაფინანსების წყარო, განსაკუთრებით კი – დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიშები კომპანიის ფინანსური ოპერაციების შესახებ;
- ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების შესახებ, სახელმწიფო შესყიდვების გამოცხადება, სატენდერო ინფორმაცია და სახელმწიფო შესყიდვისათვის საჭირო დოკუმენტები, ტენდერის გახსნის ოქმები, ინფორმაცია ყველა დაწყებული სახელმწიფო შესყიდვის სტატუსის შესახებ და სატენდერო კომისიის ყველა გადაწყვეტილება სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების შესახებ (გადაწყვეტლება შერჩევაზე, შეჩერებაზე და სხვა), მონაცემები დადებულ კონტრაქტებზე;
- თანამშრომელთა აყვანის პროცედურა, მათ შორის, ტესტირების გამოცხადება, კანდიდატების ტესტირებისთვის მომზადების სამართლებრივი და სხვა წყაროები, ინტერვიუს განრიგი, ინფორმაცია კონკურსის მიმდინარეობის შესახებ პროცედურის შეწყვეტის შემთხვევაში და სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებები.

აღინიშნა, რომ ანტიკორუფციული პროგრამის განხორციელებამ კომპანიის საქმიანობის გამჭვირვალობასთან მიმართებით პროგრესი აჩვენა, რაც აგრეთვე გამოვლინდა ამ მიმართულებით ლონისძიებების მაღალი ხარისხით შესრულებითა და ვებგვერდის განახლების ტენდენციით. ეს უკანასკნელი ფაქტორები მნიშვნელოვნად იყო გაუმჯობესებული ანტიკორუფციული პროგრამის განხორციელებამდე პერიოდთან შედარებით.

**ცხრილი 4. სახელმწიფო შესყიდვები/ შესყიდვების
გამჭვირვალობა**

2011 წელს დადებული კონტრაქტების ოდენობა – 7161.
კომპანიების 59.30%-მა ვებ-გვერდზე განათავსა ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.
კომპანიების 62.79%-მა ვებ-გვერდზე განათავსა ინფორმაცია ტენდერებისა და სატენდერო დოკუმენტების შესახებ.
კომპანიების 43.02%-მა ვებ-გვერდზე განათავსა სატენდერო განაცხადების გახსნის ოქმები.
კომპანიების 51.16%-მა ვებ-გვერდზე განათავსა ინფორმაცია დადებული ხელშეკრულებების შესახებ (2011).

**ცხრილი 5. თანამშრომელთა აყვანის პროცესის
გამჭვირვალობა**

2011 წელს კომპანიებმა განახორციელეს თანამშრომელთა აყვანის 650 პროცედურა, მათგან 449 საჯაროდ გამოცხადდა.
კომპანიების 75.58%-მა გამოაქვეყნა ინფორმაცია თანამშრომელთა აყვანის პროცედურის შესახებ.
სატენდერო ჩანაწერების 43.02% შეიცავს განცხადებებს ვაკანსიების თაობაზე, ტესტირებისათვის მოსამზადებელ სამართლებრივ და სხვა წყაროებს, ინტერვიუების განრიგს, დანიშნულ ინტერვიუთა გრაფიკს, ინფორმაციას თანამშრომელთა აყვანის სტასუსის შესახებ და ინფორმაციას პროცედურის შეჩერების შესახებ.
კომპანიების 36.05%-მა საკუთარ ვებ-გვედრზე გამოაქვეყნა ინფორმაცია საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებათა შესახებ.


რეკომენდაცია (IV ანგარიში): მიუხედავად იმისა, რომ მიღწეული შედეგები ძირითადად დამაკმაყოფილებელია, გამჭვირვალობის კუთხით მეტი პროგრესია საჭირო, განსაკუთრებით სახელმწიფო შესყიდვების, თანამშრომელთა აყვანისა და ხარჯვითი ნაწილის თვალსაზრისით.

რეკომენდირებული იყო, რომ ანტიკორუფციული პროგრამის განხახორციელებელ კომპანიებს ჩამოეყალიბებინათ და გამო-ექვეყნებინათ საინფორმაციო კატალოგი და დაენიშნათ საინ-ფორმაციო ოფიცერი.

შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ ღონისძიება წარმატებით განხორციელდა. კომპანიების 86.05%-მა შეადგინა საინფორმაციო კატალოგი და განათავსა ის თავის ვებ-გვერდზე, კომპანიების 89.53%-მა დანიშნა საინფორმაციო ოფიცერი, ხოლო 84.88%-მა განათავსა მისი საკონტაქტო ინფორმაცია ვებ-გვერდზე.

კვლევაში მოცემული რაოდენობრივი მაჩვენებლით შესაძლებელი გახდა ინფორმაციის გამოთხოვასთან დაკავ-შირებული განცხადებების, მათ შორის, გადაწყვეტილი, დაკავ-ოფილებული და უარყოფილი განცხადებების მონიტორინგი.

სურათი 3. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ მიღებული განაცხადები 2011 წელს:¹



1.2. კომპანიების მიერ განხორციელებული შემოწირულობები და სპონსორობა

შემოწირულობებსა და სპონსორობასთან დაკავშირებული კითხვები პირველად IV კვლევაში იყო ჩართული. შედეგები განსაცვილებელი აღმოჩნდა და გამოავლინა მნიშვნელოვანი სისტემური ხარვეზები.

¹ მიღებული - 360, გადაწყვეტილი - 355, დაკავ-ოფილებული - 272, უარყოფილი - 7;

შედეგებმა აჩვენა, რომ 53 კომპანიას ჰქონდა შემოწირულობებსა და სპონსორობასთან დაკავშირებული ხარჯები, რომლის საერთო ოდენობამ 2011 წელს **19.285.744 €** შეადგინა. მიუხედავად შთამბეჭდავი ციფრებისა, ჩამოთვლილი 53 კომპანიიდან მხოლოდ **15.09%-მა** (ყველა კომპანიის **10.47%-მა**) განათავსა ინფორმაცია შემოწირულობებისა და სპონსორობის მიმღებთა შესახებ. ის ფაქტი, რომ კომპანიების მხოლოდ **36.05%-ს** ჰქონდა შემუშავებული წერილობითი პროცედურა შემოწირულობების გაცემისა და სპონსორობის თაობაზე და მხოლოდ **13.95%-მა** გამოაქვეყნა ის ვებ-გვერდზე, ამ სფეროში გამჭვირვალობის ნაკლებობაზე მიუთითებდა. სრულიად გაუგებარი იყო, რა კრიტერიუმით და ვის აძლევდნენ ეს კომპანიები ფინანსურ რესურსებს.

რეკომენდაცია: ყველა კომპანიამ უნდა შეიმუშაოს მკაფიო წესები და პროცედურები და განათავსოს ის ვებ-გვერდზე, ისევე როგორც შესაბამისი ხარჯები, რათა გაიზარდოს გამჭვირვალობა, ჩამოყალიბდეს რესურსების განაწილების ნათელი კრიტერიუმი, განისაზღვროს მიმღები და აღმოიფხვრას ეჭვები შემოწირულობებისა და სპონსორობის განხორციელებისას კორუფციის არსებობის შესახებ (IV ანგარიში).


1.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების გაძლიერება

ანტიკორუფციულმა პროგრამამ გააანალიზა ღონისძიებათა ნაწილი, რომელიც უკავშირდებოდა ისეთი ამოცანების შესრულებას, როგორიცაა: გარკვეულ ღონისძიებათა შესახებ სახელმძღვანელო პრინციპების შედეგნა; კორუფციის აღმოსაფხვრელად და პროფესიული ქცევის უზრუნველსაყოფად დისკიპლინური კოდექსის ჩამოყალიბება; კეთილსინდისიერების შესახებ განცხადების ხელმოწერა მაღალი ღირებულების საქონლის შექნისას; ეთიკის კომისრის დანიშვნა თანამშრომელთა, მოქალაქეთა და სხვა პირთა მხრიდან არაეთიკური, სავარაუდოდ კორუფციული ქმედების შესახებ განცხადებათა განსახილველად და თანამშრომელთა შორის ეთიკური ქცევის მხარდასაჭერად. ღონისძიებები წარმატებულად განხორციელდა.

კვლევის შედეგებმა გამოავლინა ეთიკის მარეგულირებელი წესების დარღვევის თაობაზე შემოსული საჩივრების მაღა-

ლი მაჩვენებული. მნიშვნელოვანია ალინიშნოს, რომ ზოგი-ერთი საჩივარი არ ადასტურებს კომპანიაში ეთიკის ნორმების დარღვევის ფაქტებს. სისტემის ფუნქციონირებისა და იმ შემთხვევების შესახებ სრული სურათის მისაღებად, რომლებიც ნამდვილად მიანიშნებდნენ ეთიკის მარეგულირებელი ნორმების დარღვევაზე, სხვა ინდიკატორების ანალიზიც გახდა აუცილებელი, მათ შორის, გადაწყვეტილი და უარყოფილი საქმეები, ასევე, საქმეები, რომელთა გამოც აუცილებელი გახდა დისციპლინური ღონისძიებების გამოყენება.

სურათი 4. იმ კომპანიების რაოდენობრივი მაჩვენებლები, რომლებიც 2011 წელს ეთიკის დარღვევის შესახებ საჩივრებს განიხილავდნენ:²



1.4. ხარვეზებთან გამკლავება

კომპანიის აქტივებისა და რესურსების არასწორი მენეჯმენტის, ფინანსური სახსრების გაუმართლებელი


² მიღებული - 220, გადაწყვეტილი - 211, უარყოფილი - 140, დისციპლინური პასუხსმებლობის ზომები იქნა გამოყენებული - 18, შეწყვეტილი იქნა შრომითი ხელშეკრულება - 0, გადაგზავნილი - 4;

გამოყენების, ხარვეზებისა და თაღლითობით გამოწვეული ზარალისაგან თავის დასაცავად, ანტიკორუფციული პროგრამა ითვალისწინებს ეფექტური მექანიზმის ჩართული ბეჭედის, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება ხარვეზების, თაღლითობის ან კორუფციული ფაქტების შესახებ ინფორმირება. მექანიზმი აგრეთვე მოიცავს ანგარიშგების შიდაორგანიზაციული სისტემის ჩართული ბეჭედის, რომელიც თანამშრომლებს საშუალებას აძლევს, შურისძიების რისკის გარეშე დაასახელონ პრობლემის წყარო ან სავარაუდო კორუფციის ფაქტი. ამისათვის აუცილებელია, კომპანიის ვებ-გვერდზე განთავსდეს ელექტრონული ფოსტის მისამართი, დაინიშნოს ხარვეზებზე მომუშავე ოფიცერი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ხარვეზების რეესტრის წარმოებაზე, ასევე, ხარვეზებისა და თაღლითობის აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარებაზე. ღონისძიებები წარმატებით განხორციელდა.

კომპანიების 86,05%-ში დაინიშნა ხარვეზებზე პასუხისმგებელი პირი. კომპანიების 77,91%-ის შემთხვევაში, ინფორმაცია განთავსდა მათსავე ვებ-გვერდზე. კომპანიების 83,72%-ის შემთხვევაში, არსებობდა შიდა ანგარიშგების სისტემა, რომელიც თანამშრომლებს საშუალებას აძლევდა, შურისძიების რისკის გარეშე მიეწოდებინათ ინფორმაცია პრობლემის წყაროს ან კორუფციის ეჭვის შესახებ. კომპანიის ყველა თანამშრომელი ინფორმირებული იყო აღნიშნული პროცედურის შესახებ და ფლობდა ხარვეზებზე მომუშავე ოფიცერის საკონტაქტო მონაცემებს. ხარვეზების რეესტრი კომპანიების 75,58%-ის შემთხვევაში იყო შემოღებული (IV ანგარიში).

რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით, 2011 წლის მონაცემებით, ხარვეზებისადათაღლითობის შესახებანგარიშები 26-მა კომპანიამ წარადგინა. ეთიკის დარღვევისათვის სხვადასხვა დისციპლინური ღონისძიება იყო გამოყენებული. რამდენიმე შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა ხელშეკრულების შეწყვეტასაც. სრული წარმოდგენის შესაქმნელად იმის თაობაზე, თუ როგორ ფუნქციონირებს ხარვეზების ანგარიშგებისა და სანქცირების სისტემა, ანგარიშების გარდა აუცილებელი იყო სხვა ინდიკატორების ანალიზიც, მათ შორის, გადაწყვეტილი და უარყოფილი საქმეებისა და, ასევე, იმ საქმეების შესწავლა, რომლებზეც დისციპლინური ღონისძიებები იქნა გამოყენეული.

სურათი 5. კომპანიების რაოდენობრივი მაჩვენებელი, რომ-ლებიც 2011 წელს ხარვეზების ანგარიშებს აწარმოებდნენ:³



³ აღრიცხული საქმეები - 253, გადაწყვეტილი საქმეები - 237, უარყოფილი საქმეები - 45, საქმეები სადაც, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა იქნა გამოყენებული - 78, საქმეები, სადაც მოხდა შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა - 38, გადაგზავნილი საქმეები - 24;

V. საგანერალურო და ცენტრალური ამაღლებისა და მიმართული საქმიანობა

გაერთიანებული ანგარიშების დასრულების შედგომ (II, III და IV), იუსტიციის სამინისტრომ, პარტნიორებთან ერთად, სახელმწიფოს ძირითადი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი კომპანიებისა და კერძო საკუთრებაში არსებული კომპანიების წარმომადგენლებისთვის კონფერენციები ჩატარა. მათი მიზანი იყო გაერთიანებული ანგარიშების წარდგენა, გამოცდილების გაზიარება და კომპანიებს შორის საუკეთესო მაგალითის დემონსტრირება ანტიკორუფციული პროგრამის განხორციელების თვალსაზრისით, მედიის ყურადღების მიპყრობა ანტიკორუფციულ პროგრამაზე, ბიზნეს-სექტორში კორუფციის აღმოფხვრის საკითხის განხილვა, პასუხისმგებლობის ამაღლება, კეთილსინდისერება და გამჭვირვალობა ბიზნესში და კომპანიებს შორის ურთიერთობის გაძლიერება. კონფერენციებს დაახლოებით 150 მონაწილე ესწრებოდა. ყველა მედიამ გააშუქა ინფორმაცია კონფერენციებისა და ანტიკორუფციული პროგრამის შედეგების შესახებ.

იუსტიციის სამინისტროს ანტიკორუფციულმა სექტორმა ანტიკორუფციული პროგრამის განხორციელების პერიოდში ჩატარა რამდენიმე ანტიკორუფციული საგანმანათლებლო ლონისძიებასახელმწიფოსძირითადინილობრივიმონაწილეობით შექმნილი კომპანიების უმაღლესი მენეჯმენტისთვის.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ ტრენინგი ჩატარდა იმ კომპანიების საინფორმაციო ოფიცირებისათვის, ვინც ანტიკორუფციული პროგრამის განხორციელებაში იყვნენ ჩართული. ტრენინგის ძირითად მიზანს წარმოადგენდა საინფორმაციო ოფიცირებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის აქტით განსაზღვრული საჯარო ხელისუფლების ვალდებულებების გაცნობა.

ყველა გაერთიანებული ანგარიში განთავსდა ანტიკორუფციულ ვებ-გვერდზე, რომლის ადმინისტრირებასაც ახორციელებდა იუსტიციის სამინისტროს დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სექტორი. ამით უზრუნველყოფილ იქნა ანტიკორუფციული პროგრამის განხორციელებისა და გამოვლენილი ხარვეზების სრული გამჭვირვალობა.

2010-2012 წლების ანტიკორუფციული პროგრამის განხორციელების შემდეგ ხორვატიის მთავრობამ 2013 წლის 1 თებერვალს მიიღო ანტიკორუფციული პროგრამის განხორციელების შესახებ საბოლოო ანგარიში.

ანტიკორუფციული პროგრამის დასრულების შემდეგ ხორვატიის მთავრობამ 2013 წლის 1 თებერვალს მიიღო ანტიკორუფციული პროგრამის განხორციელების შესახებ საბოლოო ანგარიში. პროგრამა 2012 წელს დასრულდა. იუსტიციის სამინისტრომ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ კომპანიებს დაავალა, შეემუშავებინათ თავიანთი ე.წ. „მინი ანტიკორუფციული გეგმა“ და, როგორც ანტიკორუფციული პოლიტიკის ეფექტური გაგრძელება, საკუთარ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებინათ შემოწირულობებისა და სპონსორობის შესახებ ინფორმაცია. ეს არა მხოლოდ სახელმწიფოს ძირითად წილობრივ საკუთრებაში არსებულ კომპანიებს ეხებოდა, არამედ ყველა კომპანიას, სადაც სახელმწიფოს წილი გააჩნდა (01-დან 100%-მდე). საერთო ჯამში ასეთი 600 კომპანია იყო.

საკუთარი სამოქმედო გეგმა დაახლოებით 120-მა კომპანიამ შეემუშავა. შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ სამოქმედო გეგმებში ყურადღება ძირითადად გამახვილებული იყო გამჭვირვალობაზე (კომპანიის ვებ-გვერდზე შესაბამისი მონაცემების გამოქვეყნება), კომპანიაში კეთილსინდისიერების დანერგვასა (განათლება, ეთიკის კომისიის ჩამოყალიბება და სხვა) და ხარვეზების შესახებ ანგარიშების ნათელი პროცედურის შემოღებაზე.

ხორვატიის მთავრობამ ანტიკორუფციული სტრატეგიის მესამე სამოქმედო გეგმა 2012 წლის ნოემბერში მიიღო. სამოქმედო გეგმა შეიცავდა 173 ღონისძიებას, რომელთა შესრულება სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას წარმოადგენდა. ერთ-ერთი ღონისძიება მოიცავდა „ადმინისტრაციულ ორგანოთა გამჭვირვალობის მიზნით მოხაცემთა გამოქვეყნების კოორდინირებას“. ღონისძიება შედგებოდა არაერთი კვლევისგან, ხოლო კომპეტენტურ ორგანოდ იუსტიციის სამინისტრო იყო წარმოდგენილი.

უპირველეს ყოვლისა, იმის გათვალისწინებით, რომ ხორვატიის რესპუბლიკაში ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე იყო საკმაოდ არაორგანიზებული სიტუაცია, არაერთ ადგილობრივ და ლოკალურ ერთეულში (429 მუნიციპალიტეტი, 126 ქალაქი, 20 ტერიტორიული ერთეული და ქალაქი ზაგრები) დადგა გამჭვირვალობის მიღწევის პრობლემა. საკითხის გადაჭრის მიზნით,

იუსტიციის სამინისტრომ, ადმინისტრაციის სამინისტროსთან ერთად, შეიმუშავა კითხვარი, რომელიც დაეგზავნა ყველა ადგილობრივ ერთეულს.

კითხვარი შემდეგი სფეროებისგან შედგებოდა: ადგილობრივი ერთეულების შესახებ ზოგადი მონაცემები, მიზნები და გეგმები, კეთილსინდისიერება და ეთიკა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, საქმიანობის ანგარიშები, ფინანსური ანგარიშები, სახელმწიფო შესყიდვები, დასაქმება, ფინანსური მენეჯმენტი და კონტროლი, შემონირულობები და სპონსორობა, ხარვეზების სისტემა და ადგილობრივი თვითმმართველობა.

ყველა ადგილობრივმა ერთეულმა, მიღებიდან 6 თვის ვადაში, ნარმოადგინა შევსებული კითხვარი. შედეგებმა აჩვენა, რომ ადგილობრივ დონეზე ადმინისტრაციულ ერთეულებში კვლავ დგას გამჭვირვალობის პრობლემა და ამ კუთხით პროგრესს საჭიროებს.

ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა იყო სახელფასო ბიუჯეტი, რომელსაც ერთიანი კრიტერიუმი არ გააჩნდა. შედეგად, ადგილობრივი ერთეულების მთლიანი ბიუჯეტის დიდი ნაწილი საჯარო მოხელეთა ხელფასებს ხმარდებოდა.

მეორე ყურადსალები საკითხია ინტერესთა კონფლიქტი, განსაკუთრებით კი, ადგილობრივი ორგანოების მიერ შემონირულობებსა და სპონსორობასთან დაკავშირებით კრიტერიუმების განსაზღვრა. იმის გამო, რომ შემონირულობებში მოცულობითი თანხები იხარჯება, ამ კუთხით გამჭვირვალობის მაღალი ხარისხი უნდა არსებოდეს.

იმავდროულად, შემუშავდა ადგილობრივი ორგანოების საკუთრებასა ან წილობრივ საკუთრებაში არსებული კომპანიების სია. ადგილობრივმა ორგანოებმა გამოაგზავნეს მონაცემები მათი უფლემოსილების ქვეშ არსებული კომპანიების შესახებ. ნარმოდგენილი იყო სულ 654 კომპანია. მოგვიანებით, კითხვარი (მცირე ცვლილებებით) ამ კომპანიებსაც დაეგზავნათ. კვლევა 4 თვის განმავლობაში გრძელდებოდა და შევსებული კითხვარი 654-ივე კომპანიამ წარუდგინა იუსტიციის სამინისტროს.

ადგილობრივი ორგანოების ანალოგიურად, კომპანიების შემთხვევაშიც, ძირითად პრობლემას ნარმოდგენდა გამჭვირვალობის ნაკლებობა სპონსორობასა და შემონირულობასთან დაკავშირებით. კომპანიების მხოლოდ 18%-მა გამოაქვეყნა ვებ-

გვერდზე სპონსორობასა და შემოწირულობასთან დაკავშირებით ნათელი პროცედურები, ხოლო ბენეფიციართა სია, რომლებმაც კომპანიებს გან თანხები მიიღეს, მხოლოდ კომპანიების 6%-მა გაასაჯაროვა. შედეგებმა აჩვენა, რომ თანხებთან დაკავშირებით, საჭიროა მეტი გამჭვირვალობის არსებობა. ამასთან, ბევრი კომპანია მენეჯმენტსა და დირექტორებს ლია კონკურსის ჩატარების გარეშე ნიშნავს. ვინაიდან აღნიშნული საკითხი საზოგადოებრივი ინტერესის საგანს წარმოადგენს, გაიცა მისი შეცვლის რეკომენდაცია.

ყველა მონაცემი გამოქვეყნებულია იუსტიციის სამინისტროს დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სექტორის ვებ-გვერდზე, რაც ემსახურება ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე, ასევე, კომპანიებში საქმინობის გამჭვირვალობის გაძლიერებას

დასკვნა

ანტიკორუფციული პროგრამისა და შექმნილი მონიტორინგის სისტემის შედეგად მიღწეული მიზნებია:

- სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული კომპანიების, მენეჯმენტის, ფინანსებისა და თანამშრომელთა მონაცემების იდენტიფიცირება;
- კომპანიების გამჭვირვალობის, კეთილსინდისიერებისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერება;
- იმ სფეროების იდენტიფიცირება, სადაც ყველაზე მაღალია კორუფციის რისკები;
- ანტიკორუფციული პროგრამის განხორციელებისას ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა;
- ღონისძიებების სია განხორციელების მიხედვით;
- რაოდენობრივი მონაცემები სისტემის ფუნქციონირების მონიტორინგისათვის;
- კომპანიების რეინტინგი განხორციელების მიხედვით;
- პროცესის სრული გამჭვირვალობა – ყველა ანგარიში გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის;
- გამჭვირვალობის სისტემის საკითხით მედიის დაინტერესება, კონფერენციები და პრესრელიზები.

- კომპანიებში ანტიკორუფციული ღონისძიებების საჭიროების შესახებ საზოგადოების გათვითცნობიერება;
- საზოგადოებისა და მედიის „ზეწოლა“ მენეჯმენტსა და სამეთალურეო საბჭოებზე ანტიკორუფციული პროგრამის განხორციელებისა და ანტიკორუფციული საქმიანობის თვალსაზრისით.

ანტიკორუფციული პროგრამის განსახორციელებლად მიცემული პერიოდის ამონტურვის შემდეგ, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულმა კომპანიებმა გააგრძელეს ანტიკორუფციული პროგრამით მხარდაჭერილი ღონისძიებების განხორციელება, როგორიცაა გამჭვირვალობა, კეთილსინდისიერება და ანგარიშვალდებულება.

ანტიკორუფციული პროგრამის პრინციპები და კვლევის მეთოდოლოგია გამოყენებულ იქნა ადგილობრივ დონეზე სიტუაციის სკრინინგისთვის. დასრულების შემდეგ ადგილობრივ დონეზე მოხდა კორუფციული რისკებისა და სიტუაციის იდენტიფიცირება შემდგომში ანტიკორუფციული სიტუაციის გამოსწორების მიზნით. გარდა ამისა, პირველად გახდა ცნობილი ადგილობრივი ორგანოების საკუთრებაში არსებული კომპანიების შესახებ.

ჩამოყალიბდა სახელმწიფო ქონების მართვის ორგანო, როგორც სახელმწიფო ქონების მართვის მაკოორდინირებელი ერთეული და 2014 წელს პირველად გამოიცა სახელმწიფო ქონების რეესტრი, სადაც შესულია სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ყველა კომპანია.

ანტიკორუფციული პროგრამის მონიტორინგი ასევე განხორციელდა ხორვატიის ევროკავშირში გაწევრიანების მიზნით მიმდინარე მოლაპარაკებების დროს (მოლაპარაკებები შეეხებოდა სასამართლო ხელისუფლებისა და ადამიანის ფუნდამენტური უფლებების 23-ე თავით დადგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისობაში მოყვანას). 2011 წელს ევროკომისიის შუალედურ ანგარიშში ასევე აღინიშნა ანტიკორუფციული პროგრამის შემდგომი განხორციელების საჭიროება. გარდა ამისა, 2012 წლის აპრილში ევროპის კომისიამ მოამზადა ხორვატიის ევროკავშირის წევრობისათვის მზაობის მონიტორინგის ანგარიში, რომელიც მკაცრად მიანიშნებდა კომპანიებში კორუფციის პრევენციის ძლიერი სისტემის აუცილებლობაზე.

ანტიკორუფციული პროგრამა და პროგრამის განხორციელე-

ბის მონიტორინგის სისტემა წარმოდგენილ იქნა 2011 წლის 30 სექტემბერს პარიზში – OECD-ის შეხვედრაზე და ეუთოს მე-20 ეკონომიკური და გარემოს დაცვის ფორუმის მეორე მოსამზადე-ბელ შეხვედრაზე, სახელწოდებით – კარგი მმართველობისა და კორუფციასთან ბრძოლის ხელშეწყობა სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის. შეხვედრა 2012 წლის 23 აპრილს დუბლინში შედგა და, ანტიკორუფციული პროგრამის სხვა ქვეყნებში გამოყენების თვალსაზრისით, დიდი ინტერესი გამოიწვია.

მაცევარული რგოლისა და დირექტორის დანიშვნა სახელმიწოდებლის ნილობრივი მონაცემებით დაარსებულ სანარმოები (ქვეყნის მიმოხილვა)

შესავალი

ზოგიერთ ქვეყანაში სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული კომპანიები ეროვნული ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ და ქვეყნისა და მოქალაქეებისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის სფეროს არეგულირებენ. მიუხედავად სახელმწიფო კუთვნილებისა, მათზე სრულად არ ვრცელდება სახელმწიფო მართვასთან დაკავშირებული წესები. მიზეზი ეკონომიკის დარღმია, რომლის მიზნები და წესები პოლიტიკურისაგან განსხვავებულია. ზოგიერთი კომპანია ღია ბაზარზე ფუნქციონირებს, რაც სწრაფ რეაგირებასა და ცვლილებებს ითხოვს, ისევე როგორც – წარმატებული მენეჯმენტისათვის მუდმივ ძალისხმევას. სწორედ ამიტომ, უმნიშვნელოვანესია, თუ ვინ არის კომპანიის სათავეში, როგორ ხდება მენეჯმენტის არჩევა და დანიშვნა, რა არის საჭირო კვალიფიკაცია, რამდენად შესაძლებელია ბიზნესისა და პოლიტიკის გამიჯვნა მენეჯმენტის შერჩევისა და კომპანიის ყოველდღიური საქმიანობისას.

როგორც ყველა კომპანიას, სახელმწიფოს კუთვნილ კომპანიებსაც ჰყავთ თავიანთი მესაკუთრებები ძირითადი აქციონერის უფლებით, რომელიც:

- მონაწილეობას იღებს და სარგებლობს ხმის უფლებით აქციონერთა შეხვედრაზე;
- მოიპოვებს კორპორაციის შესახებ სათანადო ინფორმაციას დროულად და რეგულარულად;
- ირჩევს და ათავისუფლებს საბჭოს წევრებს;
- ამტკიცებს განსაკუთრებული მნიშვნელობის გარიგებებს.

ნებისმიერი კერძო კომპანიის მესაკუთრის მსგავსად, სახელმწიფო, როგორც აქციონერი, საჭიროებს გააზრებას, თუ ვისი ხილვა სურს ხელმძღვანელობაში, რათა მისი და კომპანიის საუკეთესო ინტერესები გატარდეს. თუმცა, კერძო სექტორის-გან განსხვავებით, მინისტრები სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული კომპანიის მესაკუთრებები არ არიან. კომპანიის მენეჯმენტის წარდგენა უნდა იყოს გამჭვირვალე, ნათლად ჩამოყალიბებული პროცედურა და უნდა ეფუძნებოდეს სხვა-დასხვა უნარჩვევისა და გამოცდილების შეფასებას.

რისკები და შერჩევის მანეირი პოლიტიკა:

- კომპანიების პოლიტიზირება;
- არაპროფესიონალი და არაეფექტური მენეჯმენტი;
- აქტივების არაეკონომიური ხარჯვა;
- აქტივების უპასუხისმგებლო და გაუმჭვირვალე მართვა;
- კომპანიის არასახარბიელო მიღწევები;
- ნაკლოვანებები;
- ნეპოტიზმი და მფარველობა;
- კორუფცია და ინტერესთა კონფლიქტი;
- კომპანიის აქტივების გამოყენება პარტიის უკანონო ფინანსირებისთვის.

პოლიტიკური ნიშნით დანიშვნების კლასიკური მაგალითებია: 1) პოლიტიკური ძალაუფლების ცვლილებასთან ერთად, კომპანიის მმართველი საბჭოს ცვლილება; 2) საბჭოს წევრების სწრაფი ცვლა; 3) გადამეტებული მდგრადობა, რაც კომპანიის ხელმძღვანელობაში ახალი სისხლისა და ინოვაციის ნაკლებობას იზვევს; 4) მეგობართა დანიშვნა და მფარველობა; 5) უსაფუძვლოდ საბჭოს წევრების ცვლა; 6) საჭირო პროფილის ხალხის არარსებობა.⁴

ანალიზი მოიცავს თანამდებობებზე დანიშვნის სისტემებს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ეროვნისა განვითარებად ქვეყნებში (ხორვატია, პოლონეთი, სერბია), ასევე – ჩილეში, ისრაელსა და ახალ ზელანდიაში.

ხორვატია

სახელმწიფო აქტივების მართვისა და განკარგვის შესახებ აქტის (2013) თანახმად, სახელმწიფო აქტივების მართვის სახელმწიფო სამსახური წარმოადგენს ხორვატიის რესპუბლიკის აქტივების მართვისა და განკარგვის ცენტრალურ მოვალეობას. ასევე, აღნიშნული სამსახური კოორდინირებას უწევს იმ სახელმწიფო დანესტულებებს, სხვა უწყებებს თუ სპეციალური კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილ იურიდიულ პირებს, რომლებიც ასევე ახორციელებენ ხორვატიის რესპუბლიკის მფლობელობაში არსებული აქტივების მართვასა და განკარგვას.

⁴ W. Richard Frederick, "Enhancing the Role of the Boards of Directors of State-Owned Enterprises" (2011)..

იმავე აქტის თანახმად, ხორვატიის რესპუბლიკის მთავრობა წინავს ხორვატიის რესპუბლიკის მთავრობის კომიტეტს სტრატეგიული კომპანიების სამართავად. კომიტეტის წევრები არიან: პრემიერ-მინისტრის მოადგილე, რომელიც ეკონომიკაზეა პასუხისმგებელი; ფინანსთა მინისტრი; ეკონომიკის მინისტრი; საზღვაო საქმეთა, ტრანსპორტისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი; სოფლის მეურნეობის მინისტრი; მენარმეობისა და რეწვის მინისტრი და შრომისა და საპენსიო სისტემის მინისტრი. სხვა ფუნქციებთან ერთად, კომიტეტის უფლება-მოვალეობაში შედის ხორვატიის რესპუბლიკის მთავრობისათვის კანდიდატების წარდგენა იმ კომპანიებისა თუ სხვა იურიდიული პირების საზედამხედველო საბჭოსა და მართვის ორგანოების წევრობისათვის, რომლებშიც ხორვატიის რესპუბლიკას განსაკუთრებული სტრატეგიული ინტერესი გააჩნია. სახელმწიფო აქტივების მართვის სახელმწიფო სამსახური კომიტეტისათვის ტექნიკურ დავალებებს ასრულებს.

სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული კომპანიების საზედამხედველო, მართვის ორგანოებისა და მმართველობის წევრობის პირობების განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილება კანდიდატებისათვის შემდეგ მოთხოვნებს ითვალისწინებს:

- სრული პროფესიული განათლება ან ბაკალავრის საუნივერსიტო ხარისხი; ან საბაკალავრო ან სამაგისტრო ხარისხი; ან ინტეგრირებული საბაკალავრო ან სამაგისტრო ხარისხი;
- მინიმუმ ხუთწლიანი შესაბამისი გამოცდილება;
- კომპანიის წევრობის, აღმასრულებელი დირექტორობის, საბჭოს წევრობის ან საზედამხედველო ან სამართავი ორგანოს წევრობის პერიოდში არ უნდა ჰქონდეს დაკისრებული ზარალის ანაზღაურება კომპანიისა თუ მისი კრედიტორებისათვის;
- არ უნდა იყოს ჩართული კომპანიის ბიზნეს-საქმიანობაში ფიზიკური პირის, წევრის, აღმასრულებელი დირექტორის, იურიდიული პირის მმართველთა თუ საზედამხედველო საბჭოს წევრის სახით;
- მმართველთა თუ საზედამხედველო საბჭოს წევრად დანიშვნის შემთხვევაში, არ უნდა იმყოფებოდეს ინტერესთა კონფლიქტში.

მიუხედავად იმისა, რომ ხორვატიის რესპუბლიკის მფლობელობაში არსებული აქტივების მართვისა და განკარგვის შესახებ აქტი ითვალისწინებს სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული კომპანიების საზედამხედველო და მმართველობით ორგანოების წევრების დანიშვნის მიზნით საჯარო კონკურსის გამოცხადების პროცედურას, ხელისუფლებას ჯერ კიდევ არ მიუღია შესაბამისი კანონქვემდებარე აქტი, რომელიც აღნიშნულ საკითხს დაარეგულირებს. ვინაიდან საჯარო კონკურსი არ ინარმოება, კომიტეტი ხორვატიის რესპუბლიკის მთავრობას წარუდგენს წევრობის კანდიდატებს, რომლებსაც მთავრობა, თავის მხრივ, წარუდგენს კომპანიის საზედამხედველო საბჭოს. აღსანიშნავია, რომ კომიტეტი შედგება 7 მინისტრისაგან, რომლებიც აგრეთვე მთავრობის წევრებიც არიან. აღნიშნული იძლევა შთაბეჭდილებას, რომ წევრების დანიშვნის პროცესი პილიტიზირებულია, ხოლო კანდიდატების არჩევა ხდება არა პროფესიული, არამედ პოლიტიკური კრიტერიუმების მიხედვით.

პოლონეთი

სახელმწიფოს ძირითად წილობრივ მფლობელობაში არსებულ კომპანიებში მმართველი საბჭოს წევრები თანამდებობაზე ინიშნებიან და თავისუფლდებიან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. საბჭოს წევრის დანიშვნა ხდება სამეთვალყურეო საბჭოს საკვალიფიკაციო პროცედურების შემდეგ.

მმართველი საბჭოს პრეზიდენტის და საბჭოს წევრების გასაუბრებისა და თანამდებობებზე შერჩევის შესაბამისი პროცედურა სახელმწიფოს ძირითად წილობრივ მფლობელობაში არსებულ კომპანიებში ტარდება კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს ან აქციონერთა სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ.

ფინანსთა სამინისტრომ, საკითხის რეგულირების საუკეთესო სტანდარტების (მათ შორის, ბაზრის მოთამაშეების მიერ შემუშავებული საუკეთესო პრაქტიკის) გათვალისწინებით, ფინანსთა სამინისტროს 19 ყველაზე მნიშვნელოვანი კომპანიისათვის შეიმუშავა მენეჯერულ პოზიციაზე კანდიდატთა შერჩევის წესები.

კომპანიის მმართველი რგოლის წარმომადგენელთა შესარჩევი პროცედურები უნდა ეფუძნებოდეს ნათელ და ზუსტად განერილ

მნიშვნელოვან კრიტერიუმებს სადაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა: ცოდნას და უნარ-ჩვევებს, ასევე, კომპანიის ინდივიდუალურ მახასიათებლებს. თუმცა, ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმის განსაზღვრა არ უნდა მოხდეს სპონტანურად, არამედ – კომპანიის გრძელვადიანი სტაბილური მმართველობის გათვალისწინებით.

კომპანიის მმართველი რგოლის წარმომადგენელთა შერჩევისას, სასურველია თანამშრომლობა მრჩევლებთან – სპეციალისტების შერჩევაზე მომუშავე ორგანიზაციებთან. მრჩევლებს ევალებათ, მოიძიონ კანდიდატები და გადაამოწმონ, რამდენად შეესაბამებიან ისინი დადგენილ მოთხოვნებს და კრიტერიუმებს, მიიღონ მათგან განცხადებები და საჭირო დოკუმენტები. იმ კომპანიების შემთხვევაში, რომლებზეც არ ვრცელდება 2004 წლის 29 იანვრის სახელმწიფო შესყიდვების კანონი, მრჩევლები უნდა შეირჩნენ სამართლიანი კონკურსის საფუძველზე, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული პროცედურების დაცვით.

კანდიდატთა შერჩევა და შეფასება უნდა განხორციელდეს ყველა ხელმისაწვდომი მასალის გათვალისწინებით – კანდიდატის, საკონსულტაციო კომპანიის, სახელმწიფო ორგანოებისა და თვით კომპანიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და განცხადების საფუძველზე.

კომპანიის მმართველობითი ორგანოსთვის შესარჩევ კანდიდატს უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება ან საზღვარგარეთ მიღებული ეკვივალენტური ხარისხი, რომელსაც ცნობს პოლონეთის რესპუბლიკა. ასევე, მას უნდა გააჩნდეს:

- საწარმოს მართვის ან საწარმოს მმართველი ორგანოს ზედამხედველობის გამოცდილება;
- იმ მრეწველობაში საქმიანობის გამოცდილება, რა კუთხითაც კომპანია საქმიანობს;
- გამოცდილება ეკონომიკურ, სამართლებრივ და სხვა საკონსულტაციო საკითხებში, რომელიც შესაბამისობაშია კომპანიის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან;
- საბუღალტრო და ფინანსური აუდიტის გამოცდილება, როგორც ეს 2009 წლის 7 მაისის სერტიფიცირებულ აუდიტთა და მათი თვითმმართველობის, ფინანსურ განცხადებათა აუდიტის უფლებამოსილების ორგანოთა შესახებ აქტშია მოცემული.

პირებს, რომლებიც კომპანიის ხელმძღვანელ პოზიციაზე დაინიშნებიან, ცოდნის, გამოცდილებისა და უნარ-ჩვევების გარდა, უნდა გააჩნდეთ:

- უმწიკვლო რეპუტაცია და უნდა იყვნენ მიუკერძოებლობის გარანტი;
- უნდა ჰქონდეთ უსაფრთხოების სერტიფიკატი და ხელი უნდა მიუწვდებოდეთ ინფორმაციაზე – გრიფით საიდუმლო, ან განაცხადონ თანხმობა ასეთი სერტიფიკატის აღებაზე;
- უნდა სარგებლობდნენ ყველა სამოქალაქო უფლებით.

აღნიშნულმა პირებმა არ უნდა წარმოშვან ინტერესთა კონფლიქტის რისკი ან ეჭვი მიუკერძოებასა ან პირადი ინტერესების არსებობასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით, ადგილობრივ არჩევნებში გამარჯვებულ პარტიებთან ნათესაური კავშირის ან წევრობის, ანდა კონკერტული მომგებიანი სოციალური ან პოლიტიკური საქმიანობის წარმოების მხრივ.

პილონებთის ნავთობისა და გაზის კომპანიის მაგალითი. ასოციაციის მუხლების თანახმად, სამეთვალყურეო საბჭო მმართველობითი საბჭოს ერთ წევრად ნიშნავს თანამშრომელთა მიერ არჩეულ კანდიდატს. პიროვნება არჩეულად ითვლება, თუ არჩევნებში 50%+1 ხმას მიიღებს. თუ არჩევენებში თანამშრომელთა სულ მცირე 50% იღებდა მონაწილეობას, არჩევნების შედეგი სავალდებულო ხასიათს ატარებს სამეთვალყურეო საბჭოსათვის. თანამშრომელთა შორის არჩეულ კანდიდიატზე არ ვრცელდება დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები. მმართველი საბჭოს წევრები სამი წლის ვადით აირჩევიან.

სერბეთი

სახელმწიფო საწარმოთა შესახებ კანონი სერბეთმა 2012 წელს მიიღო. ახალი კანონის მიღების ძირითად მიზეზს წარმოადგენდა: სახელმწიფო საწარმოებში საქმიანობის პროფესიონალურად ჩატარების აუცილებლობა; ლია კონკურსის საფუძველზე დირექტორების დანიშვნა, რათა მიღწეული ყოფილიყო საუკეთესო მენეჯმენტი და ბიზნეს კომპანიების შესახებ კანონთან შესაბამისობა.

სერბეთის რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოების

ჩამოყალიბება შეუძლიათ: სერბეთის რესპუბლიკას, ადგილობრივითვითმმართველობის ორგანოებს და ავტონომიურ პროვინციებს. კანონის თანახმად, სახელმწიფო საწარმოები ახორციელებენ საერთო ინტერესის საქმიანობებს, რომლებსაც განსაზღვრავს სერბეთის რესპუბლიკა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და ავტონომიური პროვინციები.

სახელმწიფო საწარმოებში მენეჯმენტი შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთპალატიანი ან ორპალატიანი სახით. ამ კლასიფიკაციის კრიტერიუმები განსაზღვრულია მთავრობის მიერ სპეციალური აქტით. ერთპალატიანი მმართველობის შემთხვევაში, სახელმწიფო საწარმოთა მმართველობითი ორგანოებია სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორი, მაშინ როცა, ორპალატიანი მენეჯმენტის შემთხვევაში, მმართველობითი ორგანოებია სამეთვალყურეო საბჭო, აღმასრულებელი საბჭო და დირექტორი.

აღმასრულებელი საბჭო შედგება საწარმოს დირექტორის (რომელიც ასევე აღმასრულებელი საბჭოს ხელმძღვანელია) წარდგინებით, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული აღმასრულებელი დირექტორებისგან. აღმასრულებელი დირექტორების მაქსიმალური რაოდენობაა 7 და ყველა სახელმწიფო საწარმოს თანამშრომელი უნდა იყოს. გარდა ამისა, აღმასრულებელ დირექტორის პოზიციის დასაკავებლად კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს იმავე მოთხოვნას, რასაც აღმასრულებელი საბჭოს ხელმძღვანელი და სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

სახელმწიფო საწარმოს დირექტორს ნიშნავს მთავრობა (ან შეინახანესით განსაზღვრული ორგანო, თუ საწარმო ავტონომიური ოლქის ან ადვილობრივი თვითმმარელობის ორგანოს მიერ არის დაფუძნებული). დირექტორი შეირჩევა ღია კონკურსის საფუძველზე 4 წლის ვადით.

დირექტორი შემდეგ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს:

- უნდა იყოს სრულწლოვანი და ჰქონდეს პიზნესის კეთების უნარი;
- უნდა იყოს იმ ერთ-ერთი სფეროს ექსპერტი, რომლის განსახორციელებლადაც შეიქმნა სახელმწიფო საწარმო;
- უნდა ჰქონდეს, სულ მცირე, მუშაობის 5 წლიანი გამოც-დილება, მათ შორის, სახელმწიფო საწარმოებთან დაკავ-

შირებულ ერთ ან რამდენიმე ბიზნეს სფეროში ანდა მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის სულ მცირე სამ წლიანი გამოცდილება;

- არ უნდა იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი;
- არ უნდა იყოს ნასამართლევი ეკონომიკური დანაშაული-სათვის, კანონმდებლობის დარღვევისა თუ თანამდებობის ბოროტად გამოყენებისთვის;
- არ უნდა გააჩნდეს უფლებამოსილება, უსაფრთხოების მიზნით, აკრძალოს სახელმწიფო სანარმოს ძირითადი საქმი-ანობა.

ლია კონკურსი ტარდება მთავრობის საკონკურსო კომისიის მიერ (ან ავტონომიური ოლქის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წესდებით განსაზღვრული ერთეულის მიერ). კომისია შედგება ხელმძღვანელისა და ოთხი წევრისგან. კომისიის ხელმძღვანელი და ორი წევრი ინიშნება მთავრობის მიერ სამი წლის ვადით; ერთი წევრი, რომელიც ეკონომიკურ სექტორს ჩაუდება სათავეში, ინიშნება ეროვნული ასამბლეის კომიტეტის მიერ 3 წლის ვადით; ხოლო ერთი წევრი ინიშნება მთავრობის მიერ, დირექტორის ყოველი დანიშვნის შემდეგ (ის აგრეთვე უნდა იყოს იმ სანარმოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც, სადაც ხდება დირექტორის დანიშვნა). კომისიის ხელმძღვანელი და წევრები არ შეიძლება იყვნენ პარლამენტის წევრები, ავტონომიური ოლქის პარლამენტის წევრები ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წევრები, ასევე, არ უნდა მუშაობდნენ სამთავრობო ადმინისტრაციის ორგანოებში, ავტონომიური ოლქის წარმომადგენლობასა ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში.

კომისია ადგენს იმ კანდიდატთა სიას, რომლებიც დადგენილ კრიტერიუმს აკმაყოფილებენ და ატარებს შერჩევის პროცესს. შერჩევის პროცესში ხდება კანდიდატთა კვალიფიკაციის, ცოდნის, უნარების, დირექტორისათვის დადგენილ ინდიკატორებთან კანდიდატთა შესაბამისობის შეფასება. საუკეთესო შედეგების მქონე მაქსიმუმ სამი კანდიდატის მონაცემები გადაეგზავნება შესაბამის სამინისტროს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციულ ორგანოს.

წარდგენილი სიისა და შერჩევის პროცედურის ოქმის საფუძველზე, შესაბამისი სამინისტრო ან ადმინისტრაციული ორგანო ამზადებს დანიშვნის განაცხადს და წარუდგენს დირექტორის

დანიშვნაზე პასუხისმგებელ ორგანოს (ეს შეიძლება იყოს მთავრობა, ან, თუ საწარმო დაფუძნებულია ავტონომიური ოლქის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ, ნებდების შესაბამისად განსაზღვრული ერთეული). წარდგენილი სიისა და განაცხადის განხილვის შემდეგ მიიღება საწარმოს დირექტორის დანიშვნის გადაწყვეტილება. დირექტორის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილება საბოლოოა. ის წარედგინება შერჩეულ კანდიდატს და გამოვლენდება „სერბეთის რესპუბლიკის ოფიციალურ გაზეთში“ ან ადგილობრივი თვითმმართველოს ორგანოს ან ავტონომიური ოლქის გაზეთში.⁵

ჩილე

საწარმოთა სისტემა (SEP) წარმოადგენს კომიტეტს, რომელიც შექმნილია პროდუქციის განვითარების კორპორაციის მიერ (CORFO ესპანურად; ეკონომიკური ზრდის მხარდაჭერის მიზნით შექმნილი სამთავრობო ორგანიზაცია ჩილეში). მასზე, როგორც კორპორაციის შემადგენელ ნაწილზე, დელეგირებულია პროდუქციის განვითარებასთან დაკავშირებით კორპორაციის ამოცანებისა და მიზნების შესახებ ცალკეულ საკითხთა ცოდნა და გადაწყვეტა.

SEP წარმოადგენს სახელმწიფოს ტექნიკურ მრჩეველ ორგანოს, რომელსაც ეხება კომპანიების მენეჯმენტის შეფასება სხვადასხვა სამინისტროს საშუალებით, როცა ამის საჭიროება არსებობს. დღესდღეობით მისი მმართველობის ქვეშ 22 კომპანია (ესენია სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი კომპანიები, ან – სადაც სახელმწიფო აქციონერია).

SEP გააჩნია უფლებამოსილება, წარადგინოს კანდიდატები სახელმწიფოს კუთვნილი კომპანიების მენეჯმენტისა და დირექტორობის პოზიციაზე. ასევე, აქვს ვალდებულება, მოამზადოს და ყოველწლიურად წარუდგინოს რესპუბლიკის პრეზიდენტს და სენატის პრეზიდენტებს კომპანიების მიერ განხორციელებული საქმიანობისა და შედეგების ანგარიში.

⁵ საერთაშორისო გამჭვირვალობა სერბეთმა დააფიქსირა ამ აქტის დარღვევის არაერთი შემთხვევა და დირექტორის დანიშვნასთან დაკავშირებით საჯარო კონკურსის პირობების არარსებობა. „სერბეთის მთავრობის საქმიანობის გამჭვირვალობის შონიტორინგი“ საერთაშორისო გამჭვირვალობა სერბეთი, სექტემბერი 2013.

SEP-ის საბჭო არის 9 წევრისგან შედგენილი კოლეგიური ორგანო, რომელთაგან სამს ნიშნავს პრეზიდენტი, ორს – ფინანსთა მინისტრი, ერთს – ეკონომიკის მინისტრი და სამს – CORFO-ს ვიცე პრეზიდენტი.

ისრაელი

სამთავრობო კომპანიების მმართველი ორგანო (GCA) შეიქმნა სამთავრობო კომპანიების კანონის საფუძველზე (1975). GCA წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს პროფესიულ ერთეულს, რომელიც ასრულებს მთავრობის, როგორც აქციონერის, როლს ყველა სახელმწიფო კომპანიაში, პრივატიზაციისა და სტრუქტურული ცვლილებების მენეჯმენტის ჩათვლით. GCA პასუხისმგებელია დაახლოებით 100 კომპანიის საქმიანობაზე, მათ შორის, კომერციულ და არაკომერციულ საწარმოებზე, სახელმწიფო სუბსიდიებზე მყოფ ორგანიზაციებსა და შერეული ტიპის კომპანიებზე.

ამ კომპანიათა რიცხვში შედის ისრაელის ეკონომიკის რამდენიმე უდიდესი და ურთულესი საწარმო: ისრაელის ელექტრონული კორპორაცია, ისრაელის სავიაციო კორპორაცია, ისრაელის სამხედრო ინდუსტრია, მონინავე თავდაცვის სისტემები, წყლის კომპანია, საპორტო კომპანიები, სარკინიგზო კომპანია, ნავთობის საწარმოები, საგზაო კომპანია და ა.შ.

როგორც წესი, სამინისტროები პასუხისმგებელნი არიან კანდიდატთა წარდგინებაზე, თუმცა, GCA პროცესის მართვაში უმთავრეს როლს ასრულებს. ის აყალიბებს საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს და კოროდინაციას უწევს დანიშვნების შემონმების კომიტეტის (Appointments Examination Committee) მიერ კანდიდატთა განხილვის პროცესს და უზრუნველყოფს კომიტეტს როგორც პროფესიული, ისე ადმინისტრაციული დახმარებით. GCA წარმოადგენს დასკვნებს კანდიდატების თანამდებობასთან შესაბამისობის შესახებ და განიხილავს მის მიერ წარსულში, სახელმწიფო საწარმოში დირექტორად ნამსახურებ პერიოდს.

ფინანსთა სამინისტრო აყალიბებს კომიტეტს კანდიდატთა შესაბამისობის განსახილველად. გენერალური პროკურორის წარმომადგენელი განსაზღვრავს, თუ ვინ იქნება კომიტეტის ხელმძღვანელი – ეს შეიძლება იყოს ყოფილი მოსამართლე ან საჯარო/კერძო სფეროს რომელიმე პოზიციიდან გადამდგარი

ადამიანი. თავის მხრივ, კომიტეტის თავმჯდომარეს შეუძლია, კომიტეტის წევრად დასახელოს ცნობადი პიროვნება. ამ უკანასკნელის შერჩევა ხდება ფინანსთა სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს მიერ შედგენილი სპეციალური სიიდან. კომიტეტის ზემოხსენებული წევრი კოლეგიურ ორგანოში წარმოადგენს სახელმწიფო საწარმოების მმართველ რგოლს.

კომიტეტს ევალება, შეამოწმოს კანდიდატის შესაბამისობა სამთავრობო კომპანიების აქტთან და, კომპანიის სპეციალური საჭიროებების, მოცულობის, დირექტორთა საბჭოს შემადგენლობის გათვალისწინებით, წარუდგინოს სამინისტროს რჩევა, თუ რამდენად მისაღებია ცალკეული კანდიდატი კონკრეტულ პოზიციაზე.

სამთავრობო კომპანიების შესახებ კანონის თანახმად, სახელმწიფო კომპანიის დირექტორი შემდეგ პირობებს უნდა აქმაყოფილებდეს:

- უნდა იყოს 25 წელს მიღწეული ისრაელის მოქალაქე;
- მიღებული უნდა ჰქონდეს განათლება ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ სფეროში: ეკონომიკა, ბიზნეს ადმინისტრირება, სამართალი, ბუღალტრია, სახელმწიფო მართვა, საინჟინრო, ან უნდა ჰქონდეს სხვა აკადემიური ხარისხი კომპანიის მიერ წარმოებული ბიზენსის კუთხით;
- უნდა ჰქონდეს 5 წლიანი გამოცდილება ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ სფეროში, ან საერთო 5 წლიანი გამოცდილება ჩამოთვლილთაგან ორ ან რამდენიმე სფეროში:
 - მაღალი თანამდებობა იმ კომპანიის ბიზნეს მენეჯმენტში, რომელიც სხვადასხვა ბიზნეს სფეროში საქმიანობს;
 - მაღალი თანამდებობა საჯარო სამსახურში ეკონომიკის, ბიზნესის, ადმინისტრაციულ ან სამართლებრივ სფეროში;
 - მაღალი თანამდებობა კომპანიის წამყვან სფეროში.

ახალი ზელანდია

საკუთრების მონიტორინგის ერთეული (COMU) წარმოადგენს ხაზინის ნაწილს და აქციონერ სამინისტროებს აძლევს რჩევებს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ საწარმოთა მიერ საქმიანობის შესრულებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, COMU

აძლევს რჩევებს აქციონერ სამინისტროებს და შესაბამის მინისტრებს მმართველ საბჭოში, სახელმწიფოს საკუთრებაში არ-სებულ საწარმოებსა და ფინანსურ ინსტიტუტებში დასანიშნ შესაბამის კანდიდატებთან დაკავშირებით.

საბჭოს დირექტორები შეირჩევიან და ინიშნებიან საკუთარი უნარ-ჩვევებისა და კონკრეტული კომპანიის საბჭოს საჭიროების გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია, რომ საბჭო წარმოადგენდეს უნარ-ჩვევებისა და გამოცდილების ბალანსს, რაც შესაბამისობაშია კომპანიის სტრატეგიულ მიმართულებასა და საჭიროებებთან. მნიშვნელობა ენიჭება თითოეულ პოზიციაზე საუკეთესო კვალიფიკაციის მქონე პიროვნების დანიშვნას. როგორც წესი, დირექტორად ინიშნება ის კანდიდატი, რომელიც სამინისტროების მიერ დირექტორის ვაკანტური ადგილისათვის დაწესებული უნარ-ჩვევების პროფილს თავიანთი უნარებითა და გამოცდილებით ყველაზე მეტად შეესაბამებიან.

როგორ მივმართოთ? COMU-ს გააჩნია ონლაინ მონაცემთა ბაზა, რომლის საშუალებითაც, კანდიდატებს შეუძლიათ დააფიქ-სირონ თავიანთი ინტერესი საბჭოში არსებულ პოზიციებთან დაკავშირებით და ატვირთონ ბიოგრაფიული მონაცემები სისტემაში. დაინტერესებულმა პირებს შეუძლიათ განაცხადი წარმოადგინონ დირექტორობაზეც, ან სისტემაში დარეგის-ტრირდნენ, როგორც პოტენციური კანდიდატები.

დანიშვნის პროცესი:

საჭირო უნარების განსაზღვრა — შესაბამის სამინისტროსა და იმ კომპანიის მმართველობით რგოლთან ერთად, სადაც ვაკანსია არსებობს, COMU აანალიზებს კომპანიის მმართველობითი რგოლის შემადგელობას, რათა განსაზღვროს საჭირო უნარ-ჩვევები, გამოცდილება და ის მოთხოვნები, რომლებიც იდეალური იქნება ახალი კანდიდატურის შემთხვევაში. ასევე, ზუსტდება დასაკავებელ პოზიციასთან დაკავშირებული ყველა დეტალი.

2. კანდიდატების იდენტიფიცირება – კანდიდატთა გამოსავლენად COMU ძირითადად მონაცემთა ბაზას იყენებს (Board Appointments website). კანდიდატებს სისტემის საშუალებით შეუძლიათ გამოხატონ თავიანთი ინტერესი სხვადასხვა ვაკანტურ თანამდებობასთან დაკავშირებთ, ან დაარეგირტირონ მონაცემები მომავალი ვაკანსიების შემთხვევაში მათი კანდი-

დატურის განსახილველად. COMU მონაცემთა ბაზაში ეძებს კან-დიდატს, რომელიც შეიძლება შესაფერისი იყოს საბჭოს წევრო-ბისათვის.

3. კანდიდატთა მოკლე სის შედგენა *Short-listing* – მინისტრები განიხილავენ ყველა განცხადს და შეარჩევენ იმ კანდიდატ-თა მოკლე სის, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამებიან თითოეული საბჭოსათვის აუცილებელ საჭიროებებს.

4. *Due Diligence* და ინტერესთა კონფლიქტი – შერჩეულ კან-დიდატებს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სა-შუალება აქვთ, განახორციელონ “due diligence” პროცესი. ეს არის კანდიდატთა შანსი, შეაფასონ, დათანხმდებიან თუ არა ამ თანამდებობას შეთავაზების შემთხვევაში. გარდა ამი-სა, პროცესი COMU-სა და საბჭოს თავმჯდომარეს საშუალე-ბას აძლევს, ნარმოდგენა იქონიონ თითოეული კანდიდატის თანამდებობასთან შესაბამისობაზე. აღნიშნული პროცესის სა-შუალებით, კანდიდატი განსაზღვრავს, თუ რამდენად შესწევს უნარი, ღირებული როლი ითამაშოს საბჭოს საქმიანობაში, რამ-დენად სარისკოა მისთვის ამ თანამდებობაზე ყოფნა და არსე-ბობს თუ არა უკვე ცნობილი ან პოტენციული ინტერესტთა კონ-ფლიქტი. საბჭოს ხელმძღვანელი კომპანიის გადმოსახედიდან განიხილავს ინტერესთა კონფლიქტის რისკებს.

ინტერესთა კონფლიქტს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც დი-რექტორს ან პოტენციულ დირექტორს მოცემულ კომპანიასთან ბიზნეს-ინტერესები აკავშირებს (ან შესაძლოა აკავშირებდეს). კანონის თანახმად, დირექტორებს ეკრძალებათ ინტერესთა კონფლიქტში შესვლა. ქვემოთ მოყვანილია ინტერესთა კონ-ფლიქტის მაგალითები:


- კანდიდატი იმ კომპანიის დირექტორი, თანამშრომელი, აქციონერი ან მფლობელია, რომელიც მოცემული კომპანი-ისთვის სამუშაოებს ახორციელებს;
- კანდიდატს გააჩნია პირადი, პროფესიული და/ან ნათე-საური კავშირები მოცემულ კომპანიასთან ან მის მმართ-ველობასთან.

ინტერესთა კონფლიქტის გამოვლენის შემთხვევაში, ხდება გად-აწყვეტილების მიღება იმის შესახებ, თუ რამდენად შეუძლებელს ხდის კონფლიქტი დანიშნვას, ან შესაძლებელია თუ არა დანიშნის განხორციელება ინტერესთა კონფლიქტის მართვის შემთხვევაში.

5. დანიშვნა – მას შემდეგ, რაც კანდიდატი დაადასტურებს, რომ მას შეუძლია საპქოს წევრობა, აქციონერები ან მინისტრები შესაბამისი რეკომენდაციით მიმართავენ „კაბინეტის დანიშვნებისა და საპატიო კომიტეტს“ და კაბინეტს. წარმატებულ კანდიდატს გადაეცემა შეტყობინება დანიშვნის შესახებ. კაბინეტის მიერ კანდიდატურის განხილვის შემდეგ, წარმატებული კანდიდატის დანიშვნას, როგორც წესი, ახორციელებს აქციონერი ან შესაბამისი მინისტრი.

დიაგრამა: COMU-ს ურთიერთმიმართება სამინისტროებსა და სამთავრობო ორგანოებთან:

COMU as the Minister's monitoring agent



დასკვნა

თოთქმის ყველა შემთხვევში დირექტორთა დანიშვნა შესაბამისი მინისტრის პასუხისმგებლობაა, ანდა სამინისტროს შიდა პროცედურით ხორციელდება, რაც დანიშვნის პროცესს პოლიტიკურ ღეგიტიმაციას ანიჭებს.

ამის მიუხედავად, დირექტორთა დანიშვნის მთელი პროცესის პოლიტიზირებით, ექსპერტთა ნაცვლად, არამართლზომიერი უპირატესობა შეიძლება პოლიტიკურად მისაღებ კანდიდატს მიენიჭოს. შესაბამისად, პროცესს სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. შესავალში ხსენებული მანკიერი საკადრო პოლიტიკის რისკის გარდა, ასეთი ტიპის დანიშვნებმა შეიძლება უარყოფითი გავლენა იქნიოს კომპანიის ბიზნესსა და მის მფლობელზე (სახელმწიფოზე). კომპანიების ფინანსურმა დანაკარგებმა შესაძლოა ის მოქალაქეებიც დააზარალოს, რომლებსაც ამ კომპანიების მომსახურება უნდა მიეღოთ.

კადრების შერჩევასთან დაკავშირებული გამოსავლები:

- კანდიდატთა წარდგენისთვის დადგენილი მკაცრად განსაზღვრული წესები;
- ნათელი და კარგად ჩამოყალიბებული მოთხოვნები და პროცედურები; ad hoc ჩარევებისაგან თავის არიდება;
- კანდიდატთა წარდგენის პროცესის გამჭვირვალობა;
- ღია შეჯიბრობითობის პროცესი;
- კადრების შერჩევაზე ორიენტირებული პროფესიული სააგენტოების მომსახურების გამოყენება (headhunters);
- კვალიფიციურ კანდიდატთა მონაცემთა პაზა;
- მართველობითი რგოლი, რომელიც განახორციელებს წარდგინების პროცესის ზედამხედველობასა და აუდიტს, უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი და გამჭვირვალე პროცესის ჩატარებას.

სხვადასხვა სისტემის თავისებურებების გათვალისწინებით, რეკომენდირებულია, სახელმწიფოს მფლობელობაში არსებულ კომპანიებში დირექტორთა შერჩევა და დანიშვნა ეფუძნებოდეს: გამჭვირვალობის პრინციპს მთელი პროცესის განმავლობაში; დაინტერესებული პირებისათვის ღია კონკურსების ჩატარებას; წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით, საუკეთესო მაღალკვალიფიციური კანდიდატის შერჩევას და პოლიტიკური ზეგავლენის შესაძლებლობის მინიმუმამდე დაყვანას.